სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი სამშაბათი 27 დეკემბერი 2005 №298 (2621) ფასი 50 თეთრი



ნუკრი რევიშვილი უკვე რუბინელია

2

მილიარდერი არსაიდან

აბრამოვიჩმა ინგლისური არ იცის

9



უკრაინაში, როგორც საკუთარ სახლში

სოსო გაისურაძის ბიჭები უკვე კაცობენ

13

ბოქსინგ დღეები ქართულ სუფრებსა და ინგლისურ მოედნებზე

AFP მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ვესტ ბრომვიჩი 3:0. მანჩესტერელი უეინ რუნი უგოლოდ დარჩა

მოდის ახალი წელი, მოჰყავს ახალი მწვრთნელი. თანაც ტოპ-მწვრთნელი, კლაუს ტოპმიოლერი. მოაქვს ახალი იმედი, სურვილი, ლოცვა-დალოცვა და, როგორც ათადან და ბაბადან ყოფილა, ყველას გვწამს, რომ ცუდმა უკვე ჩაიარა და წინ ჯადოსნური მომავალი გველის.

ასეც იქნება.

და სანამ ჩვენ ტოპიმედებს ველაციცებით, ისვენებენ და გვასვენებენ იტალიელები თავიანთი სერია A-თი, ესპანელები თავიანთი პრიმერათი, გერმანელები თავიანთი ბუნდესლიგით. ერთადერთი, რაც ისევ დუღს, როგორც ათადან და ბაბადან დუღდა, ინგლისური პრემიერშიფია. იქ, ბრიტანეთის იმპერიის მეტროპოლიაში, „ბოქსინგ დღეებია“ ანუ, რაც ჩვენ სუფრაზე უნდა გადაგვხდეს, მათ მოედანზე გადახდებათ.

მისდიე შენს ვარსკვლავს

საკალათბურთო სეზონი დიდი სახელებით დაიწყება

ფოტო ილია ბალიაშვილისა

საქართველოს კალათბურთელებს მომავალი წლიდან ახალი შეჯიბრება ელით. ეს არის საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონების, ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალური ტურნირი, რომელშიც ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე გუნდები გამოვლენ.

გუშინ ამ ტურნირის პრეზენტაცია გაიმართა კაფე „მსოფლიო სპორტში“, სადაც საქართველოს თასის გათამაშების კენჭისყრაც ჩატარდა.



რატომ უნდა გადავიხადოთ ქართველებმა ბევრი ფული?

როგორც ჩანს, ნამდვილად დიდძალი ფული უნდა გადავუხადოთ ქართველებმა ნაკრების ახალ მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს. მართალია, ზუსტად არ ვიცით, რამდენი — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ ბოლო პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ კონტრაქტის ხელმოწერამდე თანხის დასახელება უტაქტობაა — მაგრამ, ერთ-ერთ წინა, უტაქტობამდელ პრესკონფერენციაზე თვეში 100 000 ევრო და რამდენიმე კუდი დასახელდა, რაც თითქმის წლიური ორი მილიონი გამოდიოდა.

ორი მილიონი... როგორი წარმოსათქმელია? თუნდაც ორი კი არა, ერთნახევარი ან სულაც ერთი იყოს. ასეთი თანხების, გნებავთ, ტაქტიანად და, გნებავთ, უტაქტოდ ხსენებაზე იმ ქართველს, რომელიც კმაყოფილია, ყველის სამყოფი შემოსავალი თუ აქვს, ბუნებრივი რეაქცია ექნება: რაში ვხარჯავთ ფულს, განა არ ჯობდა, ამ ფულად... და დაიწყება ჭკვიანური თუ უჭკუო პროექტების ჩამოთვლა.

დიახ, თანხა, რომელიც საქართველოს ნაკრების ახალმა მწვრთნელებმა თან უნდა წაიღონ, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის წარმოუდგენლად დიდია. ქართველთაგან ასეთ ფულს მხოლოდ დაწინაურებული უსინდისოები, კანტიკუნტი წარმატებული ბიზნესმენები და უცხოეთში გამდიდრებულები შოულობენ. პლუს არ არსებობს და ვერც იარსებებს არანაირი გარანტია, რომ ტოპმიოლერი და მისი რაზმი ჩვენს გუნდს ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანს. მაშ, როგორღა შევეგუოთ იმ ფაქტს, რომ ფულს, რომელიც სადღაც საქართველოში დევს, ჩვენზე არავინ დახარჯავს?

დავიწყოთ ასე: სადღაც საქართველოში ეს თანხაც დევს და, ჰაიჰაი, რომ გაცილებით მეტიც, მაგრამ ჩვენი პირობების გასაუმჯობესებლად მის დახარჯვას, მგონი, მართლა არავინ აპირებს. ჰოდა, ეს თუ ასეა, მაშ რაღა მცოდნე და პატიოსანი ადამიანისთვის კარგ საქმეში გადახდილმა ხელფასმა უნდა გაგვაბრაზოს?! გავბრაზდეთ სხვა რამეზე, მარჯვნიდან და მარცხნიდან საბაბს არ გვაძლევენ თუ რა?

მერედა, თუ ნაკრების გაძლიერება მართლა გვინდა და იმაზეც შევთანხმდებით, რომ ამას კვალიფიციური დახმარების გარეშე ვერ ვახერხებთ, მაშინ უნდა გავიგოთ, რა ღირს ეს კვალიფიციური დახმარება და რაგინდ ბევრი გვეჩვენოს, შევეგუოთ. ეს ზუსტად იმას ჰგავს, აბაზანაში მილი რომ გასკდება — არაესთეტიური მაგალითის მოყვანას მოვერიდებით — და სასწრაფოდ გაკეთება აუცილებელია. ხომ მივიყვანთ სანტექნიკოსს? იმის გამო, რომ ზოგადად ხელობა ძვირია, მილს ვაფუჭებულს ხომ არ დავტოვებთ?! გასაგებია, რომ იმ ფულით, რომელიც ჩვენგან სანტექნიკოსს მიაქვს, კვერცხის, პურის, უთოს, სასკოლო სახელმძღვანელოს და სხვა საჭირო ნივთების ყიდვას ვაპირებდით, მაგრამ რა გინდა ქნა, დაუღია მილს პირი და, საფეხბურთო ენაზე რომ ვთქვათ, t.6-ებს ასხამს.

ნუ, თუ გახეთქილი მილი და სამარცხვინო ნაკრები გვაწყობს, თუ საბაზანო და ფეხბურთი საერთოდ არ გვინდა, მაშინ სხვაა, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია. ფაქტია, რომ ერთიც გვჭირდება და მეორეც. ჰოდა, ამიტომაც გამოდის უცნაური რამ: ჩვენ, ღარიბებმა მართლა უნდა გავიმეტოთ ბევრი ფული, უბრალოდ, ისე უნდა ვქნათ, რომ მთელი ამ საქმიდან რაც შეიძლება მეტი სარგებელი გამოვიდეს. რაც შეეხება ჩვენს საყოფაცხოვრებო პირობებსა და დუხჭირ ცხოვრებას, მას სხვა ჯიბიდან უნდა დავახარჯოთ თანხები. ეს, ჩემო გაჭირვებულო ქართველობავ, ის ჯიბეა, რომლიდანაც ტოპმიოლერს არავინ არაფერს გადაუხდის, იქიდან უფრო კაზინოებში ხარჯავენ.

პაპუნა კვიდია

მაგრამის და თუმცას გარეშე

ნუკრი რევიშვილი უკვე რუბინელია

ფოტო: ალექსანდრ ბოლდინოვი

4 იანვარს ყაზანის „რუბინი“ შეკრებას დაიწყებს და გუნდთან ერთად იქნება ნუკრი რევიშვილიც. რევიშვილის აგენტ მამუკა ჯულელის თქმით, საქართველოს ეროვნული, ახალგაზრდული და 19-წლამდელთა ნაკრებების მეკარეს სათათრეთის კლუბი ყოველგვარი გასინჯვის გარეშე აიყვანს, თუმცა კონტრაქტის გაუფორმებლად.

„რუბინის“ მთავარი მწვრთნელი ყურბან ბერდიევიც ერთ-ერთ ინტერვიუში აღასტურებს, ქართველი მეკარე 4 იანვრიდან ჩვენთან ერთად იქნება ანთალიის შეკრებაზეო.

ასე რომ, რევიშვილი უკვე რუბინელია და ძირითადში მოსახვედრად ლატვიის ნაკრების მეკარე ალექსანდრ კოლინკოსთან მოუწევს კონკურენცია.

ილია ნანოგაჯვილი

ამერმა ჯანმრთელობის ცნობა აიღო



ფოტო: კაბილაძის ფოტო

„ამერის“ მეკარე რევაზ ნაჭყეპია სამედიცინო შემოწმებაზე

სრული სამედიცინო შემოწმების გავლის მერე თბილისის „ამერი“ შეიკრიბა და სამეორეწრეოდ მზადება დაიწყო. შეკრებაზე წასვლამდე ამერელები იპოდრომზე ვარჯიშობენ, 3 იანვარს კი ათი დღით ბაკურიანს მიაშურებენ.

მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე 28 დეკემბრამდე მოსკოვში, მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაშია, მის არყოფნაში კი გუნდი მეორე მწვრთნელ ნუგზარ ბოჯგუას ხელმძღვანელობით ვარჯიშობს.

გუნდშია ყველა ახალწვეული — ბოლნისის „სიონიდან“ გადაყვანილი დავით ბოლქვაძის, გრიგოლ დოლიძისა და თენგიზ ჩიკვილაძის სამეული და ასევე თბილისის „სპარტაკიდან“ მიწვეული თავდამსხმელი ვასილ ღუჭაშვილი, რომლის საკითხიც ჯერ არ გადაწყვეტილა.

„ამერის“ პრესსამსახურის ცნობით, ღუჭაშვილი გუნდს მეორე შეკრებაზეც გაჰყვება ანთალიაში და სწორედ მაშინ გაირკვევა, გაუფორმებს კლუბი მას კონტრაქტს თუ არა.

შეგახსენებთ, „ამერი“ ანთალიაში 24 იანვარს გაემგზავრება და იქ ორ კვირას დაჰყოფს. ვარჯიშის გარდა ამერელები თურქეთში საერთაშორისო ტურნირ wow cup international-შიც მიიღებენ მონაწილეობას.

კახა შალამბერიძე

ფოტო: კაბილაძის ფოტო



ბენდელას თასი 2005

სპორტის სასახლე. 23-28 დეკემბერი

მეოთხედფინალი

ირაო 0:0 (2:4პენ) *სოხუმი*	*ნაციონალები* 4:1 იამაჰა
სეუ 4:0 ნაძალადევი	*სეუ 2* 6:3 ჩიხურა

ნახევარფინალი. დღეს

სეუ — სეუ 2	ნაციონალები — სოხუმი

დინამო

როგორი იქნება დინამო 81?

გიორგი მეგრელაძის (№10) „დინამომ“ „ბორჯომთან“ წაგების მერე დაიწყო და დაიწყო...

ერთი ცნობილი მწვრთნელის თქმისა არ იყოს, თბილისის „დინამო“ იმ ლამაზი ქალივითაა, რომელსაც ყველა ეტრფის და ყველა მასთან დაახლოვებას ცდილობს. „დინამო“ ახლა მეოთხე ადგილზეა საქართველოს ჩემპიონატში, მაგრამ ისტორიას ვერ წაშლი, ყველაზე ტიტულოვანი ქართული კლუბის თემა ყოველთვის აქტუალურია.

„დინამოში“ მოხვედრა საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე თითქმის ყველა ფეხბურთელს სურს. ეს „თითქმის“ მაინც საჭიროა, რადგან გამონაკლისებიც არსებობს. თანაც პირობების და მენეჯმენტის მხრივ დინამოელებს ერთი-ორი ქართული კლუბიც უწევს კონკურენციას — მაგალითად, „ამერი“...

„დინამოს“ 80-წლიანი იუბილე საქართველოს ჩემპიონობით „დასველდა“, თუმცა ზაფხულს აქეთ გუნდის შედეგები გაფერმკრთალდა: ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპებზე ესტონურ „ლევადიას“ ჯობნას დანიურ „ბრონდბიუსთან“ მარცხი შეენაცვლა და „დინამოც“ მთლიანად შინაურ ამბებზე გადაერთო.

კახა ცხადაძის გუნდმა ქვეყნის ჩემპიონატი ორი დაგეგმილი მოგებით დაიწყო, მაგრამ მერე იყო მარცხიანი პერიოდი — ხუთ ტურში დინამოელებმა სამი თამაში წააგეს, „ბორჯომთან“ თბილისში ნამარცხევს კახა ცხადაძე შეუძლოდ გახდა და მის მოხსნაზეც იყო ლაპარაკი, მაგრამ „ბორჯომი“ ერთგვარი სტიმულატორი გამოდგა: ჩემპიონებმა ჩემპიონურად შეუბერეს და მიჯრით ექვსი სამქულიანი მატჩი გამოაცხვეს.

ძალიან ცუდ დღეში იყო „დინამო“, ლაზარეთი ლამის კვირიდან კვირამდე ივსებოდა და ახლაც ასეა: შოთა კაშიას, გია ნერგაძესა და შოთა ბაბუნაშვილს პირველი წრე გაუცდათ, ისინი მარტ-აპრილში დაუბრუნდებიან მინდორს. ტრავმირებული არიან შოთა გრიგალაშვილი და ფორვარდი სანდრო იაშვილი, რომელიც იანვრის ბოლოს დაიწყებს ვარჯიშს და რომელმაც პირველ წრეში ბლომად აწიოკა მეტოქე მცველები.

იაშვილი-მეგრელაძე-ბობოხიძე: ცხადაძემ სამფორვარდიან ტაქტიკას მიაგნო და „დინამომ“ სწორედ ამის შემდეგ დაიწყო მოგებათა სერია. ამ სამეულიდან ვერც ერთზე იტყვი, სიღრმიდან თამაშის მოყვარულიაო, სამივე გოლზე დაგეშილი თავდამსხმელია და ამ ტრიომ საკმაოდ ბევრი გოლიც მოინაგრა. რად ღირს თუნდაც გიორგი მეგრელაძის ორი მაკრატელა, „ცხინვალთან“ და „სიონთან“ რომ დაალაზათა.

და სად იყო ლევან მელქაძე? გასული სეზონის ბომბარდირმა პირველი წრის დიდი ნაწილი სათადარიგოთა სკამზე გაატარა, ამას ტრავმებიც დაერთო და...

ისე, „დინამოს“ ფატალურ უიღბლობაზეც შეუძლია დაიჩივლოს: სტუმრად „ზესტაფონთან“ აუარება მომენტი გაანიავეს, რის შემდეგაც კახა ცხადაძემ თქვა, კლუბის ხელმძღვანელობასთან დავაყენებ ზოგიერთი ფეხბურთელის ზერელედ თამაშის საკითხს, ისინი აუცილებლად დაისჯებიანო. უცნაური ისაა, გოლის ვერგატანისთვის მოთამაშეს რა უნდა მიუსაჯო — როგორც ვიცით, არავინ დასჯილა, ყოველ შემთხვევაში, „დინამოს“ სამზარეულოდან მსგავს ინფორმაციას არ გამოუჟონია.

ისე, პატარა კრიზისისმაგვარი დინამოელებს ნოემბრის ბოლოსაც წამოეპარათ, როცა ჯერ ფოთის „კოლხეთთან“ ვერ მოიგეს, შემდეგ კი თასის მერვედფინალში პირველიგელ საჩხერის „ჩიხურასთან“ დამატებით დროში საწვალებლად გაუხდათ საქმე. ჰო, თასის მეოთხედფინალში „დინამო“ შარშანდელ გამამწარებელს, „ზესტაფონს“ ხვდება, რომელსაც ბოლო ოთხ ურთიერთშეხვედრაში ვერაფერს უხერხებს.

ახლა კი „დინამოს“ სატრანსფერო მიდი-მოდიზე: 21 დეკემბერს დაწყებულ ვარჯიშზე საპირველწრეო შემადგენლობას გამოაკლდა ალეკო ამისულაშვილი, რომელსაც განათხოვრების ვადა ამოეწურა და კიევის „დინამოში“ დაბრუნდა. სახვაძე გუნდთან ერთად ვარჯიშობს, მაგრამ მხოლოდ ფორმის შენარჩუნების მიზნით, რადგან „დინამოსთან“ კონტრაქტი დასრულებულია. ... შია გამოკიდებული გიორგი ხუგზარის ძე ჭელიძის საკითხი, რომელიც ვარჯიშზე არ გამოცხადებულა და სათამაშო პრაქტიკის უქონლობის გამო კლუბის შეცვლას აპირებს. აპირებს, მაგრამ კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აქვს...

სამაგიეროდ, ნამატი იმდენია და კიდევ იმდენი იქნება... „სიონში“ საპირველწრეოდ განათხოვრებულები — ჯაბა დვალი, ლევან ხმალაძე, გიორგი ქუცურუა და გიორგი კვიტაიშვილი, ბათუმელები მიხეილ კაკალაძე და ირაკლი თოთლაძე...

„ისინი ამჟამად დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ემზადებიან და მათი დარჩენა-გასხვისების ამბავი როდის გადაწყდება, ჯერ უცნობია“ — გვითხრა „დინამოს“ პრეს-ატაშე ლევან სალუქვაძემ.

როგორც იცით, „დინამოში“ ისინჯება საფრანგეთის მეოთხე დივიზიონელ „დიუნკერის“ ფეხბურთელი ჟულიენ ოლბეკიც და ვნახოთ, „გაუცხოელდება“ თუ არა ჩემპიონთა რიგები. იანვრიდან „დინამოში“ იქნება დროებით გასხვისებული ლადო ახალაიაც, ვისი ლაღობაც ივო შუშაკის დროინდელ გუნდში კარგად გეხსომებათ.

„ახალ წლამდე „დინამო“ უფრო ფიზიკურ ვარჯიშებზე გააკეთებს აქცენტს, 29 დეკემბერს „ოლიმპის“ სტადიონზე „თბილისს“ ეთამაშება ტესტ-მატჩში. ნაახალწლევს ტაქტიკური და ბურთთან ვარჯიშები გახშირდება, იანვრის შუაში კი მოსკოვში თანამეგობრობის თასზე თამაში გვიწევს“ — გვითხრა ლევან სალუქვაძემ.

როგორც იცით, „დინამოს“ „ალანიაში“ მყოფი ქართველების დამატებაც სურს. საქართველოს ჩემპიონებს ფიფაში გაგზავნილი აქვთ სარჩელი იმ თანხის გამო, რომელიც ოსურმა კლუბმა ჯერ ვერ გადაუხადა „დინამოს“. გარდა ამისა, ალანიელი ქართველების კონტრაქტი რა სტადიაშია, ისიც გაურკვეველია.

...ასეთია „დინამოს“ სადღეისო იერსახე და ვნახოთ, რა მოხდება გაისად...

ილია ნანოგაშვილი

პირველი ტური
30 ივლისი, შაბათი
ჯახეთი 1:3 დინამო

მეორე ტური
7 აგვისტო, კვირა
დინამო 1:0 თბილისი

მესამე ტური
20 აგვისტო, შაბათი
ზესტაფონი 1:0 დინამო

მეოთხე ტური
28 აგვისტო, კვირა
ამერი 1:1 დინამო

მეხუთე ტური
10 სექტემბერი, შაბათი
დინამო 1:0 ცხინვალი

მეექვსე ტური
18 სექტემბერი, კვირა
ვიტ ჯორჯია 1:0 დინამო

მეშვიდე ტური
24 სექტემბერი, შაბათი
დინამო 1:2 ბორჯომი

მერვე ტური
2 ოქტომბერი, კვირა
სპარტაკი 0:3 დინამო

მეცხრე ტური
16 ოქტომბერი, კვირა
დინამო 3:0 სიონი

მეათე ტური
23 ოქტომბერი, კვირა
ტორპედო 0:2 დინამო

მეთერთმეტე ტური
30 ოქტომბერი, კვირა
დინამო 1:0 ლოკომოტივი

მეთორმეტე ტური
6 ნოემბერი, კვირა
დილა 0:2 დინამო

მეცამეტე ტური
13 ნოემბერი, კვირა
დინამო 3:1 ბათუმი

მეთოთხმეტე ტური
19 ნოემბერი, შაბათი
ჯოლხეთი 0:0 დინამო

მეთხუთმეტე ტური
27 ნოემბერი, კვირა
დინამო 4:0 სოხუმი



გიორგი მეგრელაძე

მეგოლეები
8 — გიორგი მეგრელაძე
6 — მიხეილ ბობოხიძე
5 — სანდრო იაშვილი
1 — შოთა ბაბუნაშვილი
კახა მახარაძე
ლევან მელქაძე
ირაკლი ჩირიკაშვილი
ლაშა ნოზაძე
ვლადიმერ დვალიშვილი

დინამო პირველ წრეში
15 თამაში, 10 მოგება, 2 ფრე, 3 წაგება, ბურთები 25:7, 32 ქულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი კეთილაძის ფოტოები

ცხინვალელებმა ჩემპიონატი რიხით კი დაიწყეს, მაგრამ...

„ცხინვალიც“ და „დილაც“ მიხეილ ქარელის შემყურეა

ცხინვალი

ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდა

სად მაშველი რგოლი და სად პატრიოტული მოტივი

წინა სეზონში „ცხინვალი“ პირველი ლიგის ერთ-ერთი კერკეტი გუნდი იყო, რომელსაც არც დაქვეითება ემუქრებოდა და გათამაშების დასრულებამდე კარგა ხნით ადრე უმაღლეს ლიგაში აღზევების იმედიც გადაწურული ჰქონდა ხოლმე.

ცხინვალელებს უმაღლესი ლიგის საგზური იქიდან გამოუჩნდათ, საიდანაც არ ელოდნენ — ნოდარ ახალკაცის გაპრეზიდენტებამ „სოხუმთან“ ერთად მათაც აუნთო მწვანე შუქი.

„ცხინვალის“ ყოფილი პრეზიდენტი ფაცო ნასუაშვილი წლების განმავლობაში ითხოვდა სამართლიანობის აღდგენას და უმაღლეს ლიგაში ადგილის დაბრუნებას, რომელიც, მისი თქმით, წლების წინ უსამართლოდ ჩამოართვეს.

ასე იყო თუ ისე, „ცხინვალი“ უმაღლესში აღზევდა. ამან დღის წესრიგში შემადგენლობის გაძლიერების საკითხი დააყენა. შიდაქართველებმა ფეხბურთელები ძირითადად მეზობელი გორის „დილადან“ დაიმატეს და სასტარტო. სამ ტურში მოპოვებული ორი გამარჯვებით ჩინებული განაცხადი გააკეთეს, თუმცა...

საღეისოდ მე-13 ადგილზე მყოფ „ცხინვალს“ სამი გამარჯვება აქვს და სამივე ცხრილში მის ქვემოთ მყოფ გუნდებთან. მოსაგებისთვის მომგებმა ცხინვალელებმა ამას ბოლო ხუთ ტურში სამი ფრე დაუმატეს, თუმცა ეს, რაღა თქმა უნდა, საკმარისი არ აღმოჩნდა სახიფათო ზონიდან თავის დასაღწევად.

კადრების მხრივ „ცხინვალს“ ზუსტად ისე აქვს საქმე, როგორც მის მდგომარეობაში მყოფ გუნდს შეეფერება: ფონს ძირითადად ადგილობრივებით და იმ ფეხბურთელებით გადის, მომავალი სატრანსფერო ფანჯრის გახსნამდე რომ თანხმდებიან ამა თუ იმ გუნდში შეყოვნებას. რეგიონული ადმინისტრაციის იმედად მყოფ „ცხინვალს“ ფინანსურად აშკარად უჭირს. იმის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტის რწმუნებულის შემყურე მათ გარდა გორის „დილაცაა“, ვითარება კიდევ უფრო გართულდა. კლუბის ხელმძღვანელი ზურაბ ნასუაშვილი ცდას არ აკლებს, თუმცა, ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო — რეგიონის ადმინისტრაციას ორი კი არა, ერთი გუნდის დახმარების საშუალებაც არ გააჩნია.

„ცხინვალი“ საშინაო შეხვედრებს გორში, „ქართლზე“ მართავს. ბუნებრივია, ამ არენის მდგომარეობა, მეტისმეტად მსუბუქად რომ ვთქვათ, უკეთესის სურვილს ბადებს, მაგრამ კლუბს სტადიონის იჯარის ფული მაინც რომ არ აწევს დამატებით ტვირთად, ესეც საქმეა.

მეტისმეტად მუქ. ფერებში გამოგვიჯდა წერილი „ცხინვალზე“, მაგრამ რეალობას ვერსად გავექცევით. არადა, კლუბს მინიმალური ხელშეწყობის პირობებში გაცილებით მეტის მიღწევა შეუძლია. თუმცა, სადღეისოდ გადაჭრით ვერავინ იტყვის, როგორი იქნება „ცხინვალის“ ფინანსური ბაზა მიმდინარე ჩემპიონატის მეორე წრეში. მოარული ხმების მიხედვით, რამდენიმე ფეხბურთელმა უკვე გამოთქვა სხვა კლუბებში კარიერის გაგრძელების სურვილი.

„ცხინვალის“ მესვეურებს სერიოზულ პრობლემებთან მოუწევთ ჭიდილი. უკვე გაცხადდა, რომ „პატრიოტულ მოტივს“ მაშველ რგოლად ვერც ერთი გუნდი ველარ გამოიყენებს, მდევრები კი არც ისე შორს არიან...

გიორგი ნოზაძე

პირველი ტური
30 ივლისი, შაბათი
სოხუმი 0:2 ცხინვალი

მეორე ტური
6 აგვისტო, შაბათი
ცხინვალი 0:1 ჯახეთი

მესამე ტური
21 აგვისტო, კვირა
თბილისი 0:2 ცხინვალი

მეოთხე ტური
27 აგვისტო, შაბათი
ცხინვალი 0:2 ზესტაფონი

მეხუთე ტური
10 სექტემბერი, შაბათი
დინამო 1:0 ცხინვალი

მეექვსე ტური
17 სექტემბერი, შაბათი
ამერი 1:0 ცხინვალი

მეშვიდე ტური
25 სექტემბერი, ორშაბათი
ცხინვალი 0:3 ვიტ ჯორჯია

მერვე ტური
1 ოქტომბერი, შაბათი
ბორჯომი 4:0 ცხინვალი

მეცხრე ტური
15 ოქტომბერი, შაბათი
ცხინვალი 2:0 სპარტაკი

მეათე ტური
23 ოქტომბერი, კვირა
სიონი 6:1 ცხინვალი

მეთერთმეტე ტური
30 ოქტომბერი, კვირა
ცხინვალი 0:0 ტორპედო

მეთორმეტე ტური
6 ნოემბერი, კვირა
ლოკომოტივი 3:0 ცხინვალი

მეცამეტე ტური
13 ნოემბერი, კვირა
ცხინვალი 2:2 დილა

მეთოთხმეტე ტური
19 ნოემბერი, შაბათი
ბათუმი 0:0 ცხინვალი

მეთხუთმეტე ტური
26 ნოემბერი, შაბათი
ცხინვალი 1:3 ჯოლხეთი



ბექა ჩიტაია და პაატა ბაკარანძე

მეგოლეები
3 — ბექა ჩიტაია
პაატა ბაკარანძე
2 — დავით დათვაძე
1 — გიორგი მაისურაძე
დავით მაისურაძე

ცხინვალი პირველ წრეში
15 თამაში, 3 მოგება, 3 ფრე, 9 წაგება, ბურთები 10:26, 12 ქულა

უმაღლესლიგელი გოლდამშველები

არველაძე 211, დემეტრაძე 155, აშვეთია 149

ჰოლანდიის მიმდინარე ჩემპიონატში ალკმაარელმა შოთა არველაძემ დღემდე 13 გოლი გაიტანა, რითაც პირველი ქართველი ფეხბურთელი გახდა, სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს ლიგებში 200-ზე მეტი ბურთი რომ აქვს შეგდებული — 211 გოლი 388 თამაშში, საშუალოდ 0,54.

არველაძის უახლოესი მდევარი „ზესტაფონის" შემტევი ზურაბ იონანიძეა, ვისაც უმაღლეს ლიგებში 193-ჯერ გაუმწარებია მეკარეები, თუმც აქედან 180 გოლი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში გაუტანია, 8 რუსეთში და 5 უკრაინაში.

იონანიძის ქართული მონაგარი მართლაც სოლიდურია, მაგრამ დიდად გვეეჭვება, 33 წლის „იონა" კლაუს ტოპმიოლერმა საქართველოს ნაკრებში მიიწვიოს, ანუ იონანიძე არველაძეს რანგში და რეგალიებში ვერ გაეჯიბრება თუნდაც იმიტომ, რომ 193 გოლიდან მხოლოდ 13 გაუტანია უცხოეთში. ჰოდა, შოთას მდევრები უფრო გიორგი დემეტრაძე და მიხეილ აშვეთია არიან.

დემეტრაძეს უმაღლეს ლიგებში საშუალოდ 0,53 გოლი გამოსდის ერთ შეხვედრაში — 155 გოლი 290 თამაშში. საქართველოს ჩემპიონატებში კი დემეტრაძეს 100 მატჩი უთამაშია და 65 ბურთი შეუგდია, (საშუალოდ 0,65 გოლი), ხოლო უცხოურ უმაღლეს ლიგებში 190-ჯერ გავიდა მოედანზე და 90-ჯერ იხეირა — 0,47 გოლი მატჩში. ისე, დემეტრაძეს ეროვნულ ნაკრებში 11 გოლი აქვს გატანილი და მთავარმეგოლე არველაძეს 9 ბურთით ჩამორჩება.

149 გოლი 253 მატჩიდან — აშვეთიას შედეგია უმაღლეს ლიგებში, მისი ლეგიონერული მონაგარი კი ასეთია: 113 თამაშში 28 გოლი, 0,25 გოლი მატჩში. საქართველოს ჩემპიონატებში მას ბევრად უკეთესი შედეგი აქვს: 121 გოლი 140 შეხვედრაში, საშუალოდ 0,86 გოლი. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, აშვეთიას ოდენ 5-ჯერ გაუტანია.

ქართული და ლეგიონერული გოლები შოთასაც გამოვუცხრილოთ: 38 თამაშში 37 გოლი, საშუალოდ 0,97 და 350 მატჩში 174 ბურთი, საშუალოდ 0,497.

ერთი სიტყვით, შოთა სოლიდური ფორით უსწრებს კონკურენტებს, განსაკუთრებით ლეგიონერულ ფრონტზე. ისიცაა, რომ არველაძე 32 წლისაა, დემეტრაძე 29-ის, ხოლო აშვეთია 28-ის, თუმც 3-4 წელი მთლად დიდი რესურსი არ უნდა იყოს არველაძის დასაწევად.

იმასაც შეგახსენებთ, რომ პირველი ქართველი, რომელმაც უცხო ქვეყნის უმაღლეს ლიგაში გოლი გაიტანა, გია გურულია — მან ეს 1991 წელს მოახერხა პოლონურ „კატოვიცეში".

დავით თავართქილაძე

საუკეთესო ქართველი მეგოლე შოთა არველაძე (შუაში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბადრი კეთილაძის ფოტოები

საქართველოს ნაკრების ბაზა ზეპ ბლატერმა და ედუარდ შევარდნაძემ გახსნეს

ნაკრებს უკეთესი ეკადრება „ბასა“

საბაზო პერსპექტივის საბაზო ვითარება

საქართველოს ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ ლაპარაკი ბოლოხანს განსაკუთრებით გახშირდა. თავის დროზე ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერის და ედუარდ შევარდნაძის მიერ ზარზეიმით გახსნილი ეს სპორტული ობიექტი ფეხბურთის ფედერაციის ძველსა და ახალ ხელმძღვანელობებს შორის განხეთქილების ვაშლად იქცა.

ნოდარ ახალკაცის თავდაპირველი პრეტენზიები იქით იყო მიმართული, რომ ბაზას, ფაქტობრივად, არ გააჩნია მოედანი. რაც გააჩნია, იმას ყველაფერი შეიძლება ეწოდოს, გარდა საფეხბურთო სარბიელისა. მიზეზი? როგორც ყოფილი გენმდივანი ვალერი ჩოლარია აცხადებს, მინდვრის გაკერანება 2004 წელს ფედერაციიდან მისი რამდენიმე თვით წასვლის პერიოდს დაემთხვა. მაშინ გადაწყდა, რომ ბაზაზე თურქეთიდან ჩამოტანილი ბუნებრივი საფარი დაიგებოდა. შესაბამისად, არსებულს ყურადღება არ მიექცა, მთელი ზაფხულის განმავლობაში ერთხელაც არ მორწყულა (!) და მოგვჭამა კიდეც ჭირი. არადა, მისი მოვლა ოფიციალურად აგრონომსა და ოთხ მინდვრის მუშას ევალებოდა.

არავინ დავობს, რომ სანაკრებო ბაზის მოედანს მიხედვა სჭირდება, თუმცა ახალკაცის პრეტენზიები მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება:

— ტერიტორია მცირეა, რაც არ იძლევა ინფრასტრუქტურის განვითარების, კიდევ რამდენიმე მოედნის მოწყობის საშუალებას.

— შენობას არ ჩაუტარდა წინასწარი სადრენაჟო სამუშაოები, მიწა შესაძლოა დაჯდეს, პირველი სართულის კედლები კი (სატრენაჟორო დარბაზი, საცურაო აუზი) მუდმივად ნესტიანია.

— ბაზის ტერიტორიაზე ფილები პირდაპირ მიწაზე აწყვია და ყოველი მხრიდან ბალახია ამოზრდილი.

— სახურავი თუნუქისაა, რაც „სათბურის ეფექტის“ საშიშროებას ქმნის და ასე შემდეგ...

მოკლედ, მიზანმიმართულად იქმნება ფონი, რომ ბაზა ქართული ფეხბურთისთვის უსარგებლო ნაგებობა და ლამის ტვირთიცაა.

გამოსავალი?

ნოდარ ახალკაცმა გაკვრით უკვე ახსენა ახალი ბაზის მშენებლობის იდეა, რომელიც მინიმუმ 150-კაციანი საცხოვრებელი კორპუსით და 6 სტანდარტული მოედნით იქნება აღჭურვილი. დასახელებული იყო სავარაუდო ადგილიც — მცხეთა.

თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, საიდან უნდა მოიტანოს ფედერაციამ ასეთი მასშტაბის პროექტისთვის საჭირო თანხა, როცა იმავ ნოდარ ახალკაცის განცხადებით, ეროვნული ნაკრების გასვლითი შეხვედრებისთვის ფულის შოვნა ბოლო წამსღა ხერხდება.

სახელმწიფო პროგრამაში ამ პროექტის ჩასმაზე ფიქრი უტოპია იქნება — ამდენს ფედერაციას არავინ მისცემს. სპონსორებსაც ჯერ არ აუტალახებიათ „ქართული ფეხბურთის სახლის“ ზღურბლი. ერთ-ერთ სავარაუდო ვარიანტად ფედერაციაში შესაძლოა „ბასას“ გასხვისებაც განიხილება.

როგორც შევიტყვეთ, სანაკრებო ბაზის თავდაპირველი პროექტის ხარჯთაღრიცხვა მილიონ დოლარამდე იყო. აქედან 500 000 დოლარი სფფ-მ იმ თანხიდან დახარჯა, რომელსაც ფიფა ყოველწლიური დახმარების სახით (წლიურად 250 000) ურიცხავდა. კიდევ 400 000 დოლარი იმავ ფიფამ პროგრამა „გოლით“ გამოიმეტა. საბოლოო ჯამში, სამუშაოების დასრულებას 864 000 დოლარი დასჭირდა, 36 ათასი კი კონდიცირებას მოხმარდა.

ახლა თავად განსაჯეთ, შესაძლებელია თუ არა ამ ნაგებობის გაყიდვა საბაზრო, ანუ მინიმუმ სამმაგ ფასში? უპრობლემოდ. თუმცა არის ერთბაშად რამდენიმე წინაღობა. პირველი ის, რომ ნაგებობა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ეკუთვნის, მიწა კი აგრარული უნივერსიტეტისგან 49-წლიანი იჯარითაა აღებული. თუკი ნოდარ ახალკაცი მართლა გადაწყვეტს ბაზის გასხვისებას და ამ ფულით უფრო მასშტაბური პროექტის დაფინანსებას, მან უნდა დაარწმუნოს სახელმწიფო სტრუქტურები, რომ მიწა ფეხბურთის ფედერაციის საკუთრებაში გადავიდეს. ამის გარეშე ალბათ მხოლოდ ქვეიჯარაზე საუბარი იქნება შესაძლებელი.

პრობლემა მეორე: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, აკრძალულია იმ ქონების გასხვისება, რომელიც სუბიექტს (ამ შემთხვევაში ფეხბურთის ფედერაციას) გრანტის სახით აქვს მიღებული. არადა, „ბასას“ მშენებლობა სწორედ გრანტის სახით მიღებული თანხებით დაფინანსდა. აქაც ბევრი რამ ახალკაცის მარიფათზე იქნება დამოკიდებული და თუ კანონში ცვლილების შეტანა არა, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გარკვეული გამონაკლისის დაშვება ნამდვილად იქნება საჭირო.

თუ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი შეძლებს ამ ლაბირინთში გზის გაკვლევას, საწვრთნელი ცენტრის სავარაუდო ფასი სამ მილიონ დოლარამდე იქნება. ფიფა და უეფა? ბლატერს უნდა წარვუდგინოთ მზა პროექტი, რომელშიც მიღებული თანხის მიზნობრივი ხარჯვა იქნება გათვალისწინებული და ფიფა ალბათ არ იქნება წინააღმდეგი. მეტიც — შესაძლებელი გახდება ამავე „ყულაბაში“ იმ 400 000 დოლარის ჩამატება, რომელიც „გოლი 2“-ის პროგრამით დღეისთვის დევს სფფ-ის ანგარიშზე. უეფას ფულით კი ბაზაზე მხოლოდ ავეჯი და სხვა ინვენტარია შეძენილი, რაც ასევე არ შექმნის პრობლემას.

მყიდველის პოვნა ნამდვილად არ გაჭირდება. თავად განსაჯეთ: 20 ორადგილიანი და 4 ლუქსნომერი, უზარმაზარი სამზარეულო და სადილო, სატრენაჟორო დარბაზი, საცურაო აუზი, ავტონომიური გათბობის სიტემა, დამხმარე სათავსოები და უზარმაზარი ეზო — ქალაქის განაპირას მყუდრო და კომფორტული სასტუმროსთვის უკეთესი ვარიანტი ალბათ ძნელი საპოვნელია.

„ბასას“ გაყიდვა მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტია და არა ერთადერთი. სფფ-ს შეუძლია ახალი პროექტის დასაფინანსებლად გრძელვადიანი (ვთქვათ, ოცწლიანი) კრედიტი აიღოს იმავ ფიფადან. თუკი „ბასა“ ასევე გრძელვადიანი იჯარით გაიცემა, კრედიტის დაფარვა სრულად ან დიდწილად საიჯარო თანხიდან იქნება შესაძლებელი.

ნებისმიერი პროექტი მეტისმეტად მარტივი ჩანს, როცა საუბარია ზოგადი მონახაზის დონეზე. რა თქმა უნდა, მისი ხორცშესხმა უამრავ პრობლემასთან იქნება დაკავშირებული. თუმცა ახალკაცისეული განცხადებები გვაძლევს საფუძველს ვარაუდისთვის, რომ ამ ან სხვა ფორმით ბაზასთან გამოთხოვების წინააღმდეგი ფეხბურთის ფედერაცია სულაც არ იქნება.

არქონას თუნდაც ცუდად აღჭურვილი ბაზა რომ სჯობს, ფაქტია, მაგრამ თუ ნოდარ ახალკაცი სერიოზულად ფიქრობს ახალი ბაზის აშენებას და საფეხბურთო საზოგადოებას დაარწმუნებს პროექტის რეალობაში, მხარდამჭერების პოვნა ნამდვილად არ გაუჭირდება.

გიორგი ნოზაძე



გურამ ფილიგანავეველის ფოტო



ბადრი კეთილაძის ფოტო

ვინც იგებდა, ისევ იმან მოიგო

AFP ლონდონიდან

ჩელსი — ფულემი. მასპინძელთა გამარჯვებისა ერნან კრესპომ შეაგდო

ინგლისი

პრემიერლიგა. XVIII ტური

მიდლსბრო 0:2 ბლეძბერნი

0:1, 0:2 კუქი (38, 79)

მიდლსბრო: შვარცერი, პარნაბი, პოგატეცი, კედრუ, რიგოტი, საუთგეიტი, დორივა (კენედი 78), მენდიეტა (ჰასელბაინკი 78), როჩემბაკი (ა. ჯონსონი 61), ვიდუკა, აიეგბენი

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

ბლეძბერნი: ფრიდელი, მ. გრეი, ხიზანიშვილი, ნელსენი, ტოდი (მოკოენა 56), ბენტლი (ბელამი 67), ემერტონი, სევიჯი, დ. ტომპსონი (ს. რიდი 74), თუგაი, კუქი

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

გაფრთხილება: **ხიზანიშვილი**, მენდიეტა, რიგოტი, კედრუ, ემერტონი, ჰასელბაინკი

მსაჯი: რენიე

29 881 მაყურებელი

ჩელსი 3:2 ფულემი

1:0 გალასი (3), 2:0 ლამპარდი (24), 2:1 მაკბრაიდი (29), 2:2 ჰელგუსონი (56პ), 3:2 კრესპო (74)

ჩელსი: ჩეხი, პ. ფერეირა, ჰუთი (დროგბა 57), ტერი, გალასი, ჯ. კოული, მაკელელე, ლამპარდი, შ. რაიტ-ფილიპსი (გუდიონსენი 46), კრესპო (ჯერემი 76), რობენი

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

ფულემი: კროსლი (უორნერი 71), კრისტენვალი, გომა, ნაითი, ლიკოკი, როსენიორი, ლეგვინსკი, ბოა მორტე, ჰელგუსონი (კ. ჯონი 69), ბ. მაკბრაიდი, რაძინსკი

მწვრთნელი: კრის კოულმენი

გაფრთხილება: კოული, კრისტენვალი, ლეგვინსკი, ჯონი

მსაჯი: პოლი

42 313 მაყურებელი

მანჩესტერი 3:0 ვესტ ბრომვიჩი

1:0 სქოულზი (35), 2:0 ფერდინანდი (45), 3:0 ვან ნისტელროი (63)

მანჩესტერი: ვან დერ სარი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ვ. ბრაუნი (რიჩარდსონი 46), ოში, დ. ფლეტჩერი, სქოულზი (ა. სმიტი 61), პარკი, გიგზი, ვან ნისტელროი (საა 66), რუნი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ვესტ ბრომვიჩი: კუშჩაკი, ალბრეხტსენი, კერტის დევისი, გაარდსო (გერა 67), ჰ. რობინსონი (დ. კამარა 32), უოლვორკი, ს. უოტსონი, კარტერი, ჩეპლოუ, ჯ. გრინინგი, ელინგტონი (ჯ. კემპბელი 61)

მწვრთნელი: ბრაიან რობსონი

გაფრთხილება: ოში

მსაჯი: კლატენბურგი

67 972 მაყურებელი

ლივერპული 2:0 ნიუკასლი

1:0 ჯერარდი (14), 2:0 გივენი (43ს.ჯ.)

ლივერპული: რეინა, ფინანი (ხოსემი 78), კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ლუის გარსია, ჯერარდი, ხაბი ალონსო, კიუელი (სინამა-პონიოლი 67), მორიენტესი, კროუჩი (ჯ. სისე 72)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

ნიუკასლი: გივენი, რიმეიჯი, ბუმსონგი, ს. ტეილორი (ბრამბლი 28), ბაბაიარო, ბოიერი, ფეიე, ნზოგბია (სოლანო 46), ლუკუ (ამეობი 86), შირერი, ოუენი

მწვრთნელი: გრემ სუნესი

გაფრთხილება: კროუჩი

გაძევება: ბოიერი (56)

მსაჯი: ჰალსი

44 197 მაყურებელი

ტოტენჰემი 2:0 ბირმინგემი

1:0 კინი (58პ), 2:0 დეფო (90)

ტოტენჰემი: პ. რობინსონი, დოუსონი, კინგი (პამარო 67), ი. ლი, სტალტერი, კარიკი, დავიდსი, ჯენასი, ა. ლენონი (დეფო 58), რობი კინი (მ. ბრაუნი 73), მიდო

მწვრთნელი: მარტინ იოლი

ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, კანინგემი, ლაზარიდისი (დ. დანი 72), მარტინ ტეილორი, აპსონი, ჯ. გრეი, იზეტი, იაროშიკი, კოლკენი, პენანტი (პანდიანი 83), ჰესკი

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

გაფრთხილება: იზეტი, სტალტერი, კარიკი, პამარო, იზეტი, დავიდსი

გაძევება: იზეტი (65)

მსაჯი: დოუდი

36 045 მაყურებელი

ჩარლტონი 0:1 არსენალი

0:1 რეიესი (58)

ჩარლტონი: მირე, ჯ. ფორჩუნი, ჰრეიდარსონი, სორონდო (სპექტორი 65), იანგი, ჰოლანდი, ბ. ჰიუზი, კიშიშევი (ამბროზი 79), დენი მერფი, ბარტლეტი (ლისბი 69), დ. ბენტი

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

არსენალი: ლემანი, ლორენი, კ. ტურე, ს. კემპბელი, სიგანი, ლიუნგბერგი, ფაბრეგასი, ჟილბერტო სილვა, გლები (პირესი 75), ანრი, რეიესი (ფლამინი 79)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: სორონდო, მერფი, იანგი, ლორენი, კემპბელი

გაძევება: მერფი (72)

მსაჯი: ბენეტი

27 111 მაყურებელი

სანდერლენდი 0:0 ბოლტონი

სანდერლენდი: კელვინ დევისი, გ. ბრინი, კოლდუელი, ჰოიტი, არკა, ბასილა (სტაბსი 81), დ. კოლინზი, ე. გრეი (დერილ მერფი 69), ლიუერენსი, უოტიჰიდი, სტიდი (ლე ტალეკი 69)

მწვრთნელი: მიკ მაკარტი

ბოლტონი: იასკელაინენი, ბენ ჰაიმი, ჯეტუ (კამპო 57), ჰანტი, ნგოტი, ფადიგა (ოკოჩა 81), რ. გარდნერი, იანაკოპულოსი, სპიდი, დიუფი (ბორგეტი 76), ვაზ ტე

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

გაფრთხილება: ფადიგა, გრეი, იანაკოპულოსი, ბენ ჰაიმი

მსაჯი: ატკინსონი

32 232 მაყურებელი

პორტსმუთი 1:1 ვესტ ჰემი

1:0 ონილი (17), 1:1 კოლინზი (56)

პორტსმუთი: ეშდოუნი, გრიფინი, ე. ობრაიენი, პრომუსი (პრისკე 20), სტეფანოვიჩი, მეთიუ ტეილორი, რ. ჰიუზი, გ. ონილი, რობერი, ლუა ლუა, დარიო სილვა (ვიაფარა 86)

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

ვესტ ჰემი: კეროლი, რუჟეკა (გაბიდონი 33; დეიღი 39), ე. ფერდინანდი, ჯ. კოლინზი, კონჩესკი, მალინი (ჯ. ფლეტჩერი 12), ეზერინტონი, ნიუტონი, რეო-კოკერი, ჰერვუდი, ზამორა

მწვრთნელი: ალან პერდიუ

გაფრთხილება: ტეილორი, რობერი, ჰიუზი, რეო-კოკერი

გაძევება: რობერი (84)

მსაჯი: ვაილი

20 168 მაყურებელი

უიგანი 4:3 სიტი

0:1 სიბიერსკი (3), 1:1 რობერტსი (11), 2:1 მაკკალოხი (23), 3:1 რობერტსი (45), 4:1 კამარა (71), 4:2 ბარტონი (77), 4:3 კოული (88)

უიგანი: პოლიტი, ბაინსი, ჩიმბონდა, დე ზეუვი, ჯექსონი, ბალარდი, კავანაფი (ფრენსისი 72), ა. კამარა (კონოლი 85), მაკკალოხი, რობერტსი, ტილი (რ. ტეილორი 83)

მწვრთნელი: პოლ ჯუელი

სიტი: ჯეიმსი, დისტინი, ჟიხაი, ონუა, სომეილი (რ. დანი 66), ტეტჩერი, ჯ. ბარტონი, კ. რეინა (ენდი კოული 65), სიბიერსკი, სინკლერი, ვასელი

მწვრთნელი: სტიუარტ პირსი

მსაჯი: გალაპერი

25 107 მაყურებელი

ასტონ ვილა 4:0 ევერტონი

1:0 ბაროში (35), 2:0 დილანი (48), 3:0 ანსელი (82), 4:0 ბაროში (84)

ასტონ ვილა: სორენსენი, ბერი, ბუმა, დილანი, ა. ჰიუზი, რიდგუელი, სტიენენ დევისი (ჯ. გარდნერი 83), გ. მაკკანი, მილნერი (ბაკე 62), ბაროში, ლ. მური (პ. ანსელი 70)

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

ევერტონი: მარტინი, ჰიბერტი, კროლდრუპი, ფ. ნევილი, იობო, არტეტა, ჩეჰილი (დ. ფერგიუსონი 81), საიმონ დევისი, ოსმანი (მ. ბენტი 65), ბიტი, მაკფადენი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

მსაჯი: რაილი

32 432 მაყურებელი

დასკვნა „ჩელსის“, ერნან კრესპოს საუცხოო დარტყმით გუშინ „ფულემს“ 3:2 მოუგო და შინ ძველებურად დაუმარცხებელი „მანჩესტერ იუნაიტედს“ ცხრა ქულით უსწრებს.

თამაშის საწყის 24 წუთში ლონდონელები უილიამ გალასისა და ფრენკ ლამპარდის გოლებით 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ „ფულემმა“ გათანაბრება მოახერხა: ჯერ იყო და „ჩელსის“ მეკარემ, პეტრ ჩეხმა ჯარიმიდან დარტყმული ბურთის მიღებისას უხეში შეცდომა დაუშვა და ამერიკელ ბრაიან მაკბრაიდს დამატებისა და სხვაობის შემცირების საშუალება მისცა, ხოლო შემდეგ, მეორე ტაიმის მე-11 წუთზე, ჯო კოულმა ხსენებული მაკბრაიდი საჯარიმოში წააქცია და ჰენდარ ჰელგუსონმა პენალტით გაათანაბრა. ბოლოს, როგორც გითხარით, სამი ქულის ბედი ცნობილმა არგენტინელმა თავდამსხმელმა კრესპომ გადაწყვიტა.

„ჩელსის“ თავკაცი ჟოზე მაურინიუ: „მეტოქემ ურყევი სულისკვეთება აჩვენა. როდესაც გუნდი თამაშს იგებს, კომფორტულ ვითარებაშია და შეცდომების დაშვებას იწყებს, მერე საქმის ხელახლა შემოტრიალება უძნელესი საქმეა. როგორც ხედავთ, ჩემმა გუნდმა ეს შეძლო. ამიტომაც მწამს ჩემი ფეხბურთელებისა, ისინი მენტალურად ძლიერები არიან“.

შემდეგ მაურინიუმ დასძინა, რომ მის ხელთ ყველა საუკეთესო მოთამაშე არ იყო. კერძოდ, მან მოისაკლისა დაშავებულები, ასიერ დელ ორნო, დემიენ დაფი და რიკარდუ კარვალიუ და მათ გარდა გრიპიანი მიკაელ ესიენიც ახსენა.

გაიმარჯვა „მანჩესტერ იუნაიტედმაც“. ალექს ფერგიუსონის ბიჭებს უსიცოცხლოდ მოთამაშე „ვესტ ბრომვიჩი“ ბრდღვნად არ ეყოთ და ამიტომაც, ამაზე დიდხანს შეჩერება, ვფიქრობთ არც უნდა ღირდეს.

მოიგო „ლივერპულმაც“. ჩემპიონთა თასის მფლობელთაგან გოლი მე-14 წუთზე სტივენ ჯერარდმა გაიტანა — მარჯვნიდან მალალი ბურთი ლუის გარსიამ ასწია, კროუჩმა იგი ჯერარდისკენ გადაანაცვლა, ხოლო ენფილდელთა კაპიტანმა ორ მცველს შორის გაიკვალა გზა და შედეგიანად დაარტყა. მეორე კი ნიუკასლელმა მეკრემ, შეი გივენმა კროუჩის დარტყმის შემდეგ ძელს მიჰკრა, ხოლო იქიდან ასხლეტილი კარში ჩავარდა.

„ტოტენჰემმა“ „ბირმინგემს“ 2:0 მოუგო. მატჩის შემდეგ ტოტენჰემელთა მწვრთნელმა მარტინ იოლმა პრესკონფერენციაზე ვერაფერი თქვა, რადგან საშინლად სტკიოდა მუცელი და შინისკენ გაეშურა. მისმა დამარცხებულმა კოლეგამ, სტივ ბრიუსმა კი ბრძანა:

„თუ ვიტყვი მსაჯობით უკმაყოფილო ვარო, ჩათვალეთ, რომ არაფერი მითქვამს მსაჯობა საშინელი იყო. მაზი იზეტმა პირველი ყვითელი ბარათი საერთოდ არაფრისთვის მიიღო, მეორედ კი ვითომ ჯარიმა გააფორმა. და ბოლოს, ყველაფერი საშინელმა პენალტმა დააგვირგვინა“.

და მოდით, მართალია, ორშაბათის ტურში საინტერესო სხვაც ბევრი იყო, ისე ნუ ვიზამთ, „არსენალზე“ რომ არ შეეჩერდეთ ორიოდ სიტყვით. „მეთოფეებმა“ ლონდონის გარეუბანში „ჩარლტონ ატლეტიკი“ დაამარცხეს 1:0. „არსენალის“ თავკაცი არსენ ვენგერი [illegible] რომ თამაშის დასაწყისში [illegible] ტები ვერ [illegible] გამო [illegible] ვით, ჩვენი მთავარი მეტოქე საკუთარი ნერვები შეიქნა, მაგრამ დაჟინებამ საბოლოოდ მაინც გაიტანა თავისი და სამი ქულის მომტანი საჭირო გოლი მაინც შევაგდეთ“.

პაპუნა კედია

ჩემპიონატი

XXV ტური

უოტფორდი 3:0 საუთჰემპტონი

1:0 ჰენდერსონი (28), 2:0 კარლაილი (40), 3:0 ჰაიტო (47ს.ჯ.)

ბრაიტონი 1:0 ძუინზ პარკი

1:0 ბატერსი (7)

კარდიფი 0:2 პლიმუთი

0:1 უოტონი (72პ), 0:2 ნორისი (80)

პრესტონი 0:0 უენსდი

ბარნლი 1:0 სტოკი

1:0 აკინბაი (56)

ძრიუ 2:2 ჰალი

1:0 ე. ჯონსონი (19), 1:1 ფაგანი (33), 2:1 რობერტსი (41), 2:2 პაინტერი (80)

დერბი 1:1 ლუთონი

1:0 იდიაკესი (72), 1:1 ბრკოვიჩი (80)

იფსვიჩი 0:2 კრ. პალასი

0:1 მაკენი (14), 0:2 მ. ჰიუზი (61)

ლიდსი 3:1 ძოვენთრი

1:0 დუგლასი (36), 1:1 ჰათჩისონი (58), 2:1 რ. ბლეიქი (61), 3:1 კროსველი (80)

ლესტერი 1:1 მილუოლი

0:1 მაკკარტი (28ს.ჯ.), 1:1 გუდიონსონი (64პ)

შეფილდი 1:3 ნორვიჩი

1:0 იაგიელკა (22), 1:1 მაკვეიგი (33), 1:2 ემტონი (62), 1:3 მორგანი (71ს.ჯ.)

ვულვზი 0:2 რედინგი

0:1 კიტსონი (29), 0:2 კონვი (64)

რედინგი	25	19	5	1	50:12	62
შეფილდი	25	16	5	4	47:24	53
უოტფორდი	25	11	9	5	42:31	42
ლიდსი	24	12	6	6	31:22	42
ბარნლი	25	11	5	9	36:30	38
სტოკი	25	12	1	12	32:35	37
კრ. პალასი	23	10	5	8	35:26	35
ვულვზი	25	8	11	6	29:22	35
პრესტონი	25	7	14	4	27:21	35
კარდიფი	25	9	8	8	33:28	35
ლუთონი	25	10	5	10	36:36	35
ნორვიჩი	25	9	5	11	29:32	32
საუთჰემპტონი	24	6	13	5	26:25	31
ქუინზ პარკი	25	7	8	10	27:35	29
იფსვიჩი	25	7	8	10	27:38	29
დერბი	25	5	13	7	31:34	28
ქოვენთრი	25	6	10	9	30:37	28
ჰალი	25	6	9	10	24:29	27
პლიმუთი	24	6	9	9	22:29	27
ლესტერი	24	5	11	8	27:30	26
ბრაიტონი	25	4	13	8	25:36	25
უენსდი	25	4	9	12	17:30	21
ქრიუ	25	4	9	12	27:48	21
მილუოლი	25	3	9	13	18:38	18

პირველი ლიგა

XXIV ტური

იოვილი — ბორნმუთი 1:1; როტერჰემი — ჰადერსფილდი 1:1; ბრენტფორდი — სუონსი 2:1; ჯილინგემი — ბრისტოლი 1:1; ოლდემი — ბრედფორდი 2:1; ბარნსლი — ჰარტლპული 1:1; ნოტინგემი — დონკასტერი 4:0; პორტ ვეილი — ბლეკპული 1:2; სკანთორპი — ჩესტერფილდი 2:2; საუთენდი — დონსი 0:0; სუინდონი — კოლჩესტერი 1:0; უოლსოლი — ტრანმერი 0:0

მეორე ლიგა

XXIV ტური

ბარნეტი — პიტერბრო 2:1; კარლაილი — დარლინგტონი 1:1; ლეტონი — რაშდენი 5:1; როვერსი — შრიუსბერი 2:1; ბერი — გრიმსბი 1:2; ჩელტენემი — ჩესტერი 1:0; ლინკოლნი — ბოსტონი 0:1; მაკლსფილდი — სტოკპორტი 6:0; ნორთჰემპტონი — მენსფილდი 1:0; ოქსფორდი — ნოტსი 3:0; ტორკი — უიკომბი 2:2; რექსჰემი — როჩდეილი 2:1

კონფერენსლიგა

XXIV ტური

კემბრიჯი — სტიენენეჯი 1:0; გრეიესენდი — დაგენემი 1:3; ტემუორთი — ბარტონი 1:1; იორკი — სკარბორო 3:1; ექსეტერი — ალდერშოტი 4:0; ფორესტ გრინი — ჰერეფორდი 2:2; ჰალიფაქსი — აკრინგტონი 2:2; კიდერმინსტერი — ალტრინჩემი 1:1; სოთპორტი — მორეკამბი 0:3; უოქინგი — ქროული 0:0. გრეისი — ქონვი დღეს გაიმართება

ბომბარდირები

ვან ნისტელროი (მანჩესტერი)	14
ლამპარდი (ჩელსი)	12
აიეგბენი (მიდლსბრო)	10
დ. ბენტი (ჩარლტონი)	9
რუნი (მანჩესტერი)	9

XIX ტური

28 დეკემბერი

არსენალი	:	პორტსმუთი
ბირმინგემი	:	მანჩესტერი
ბლეძბერნი	:	სანდერლენდი
ბოლტონი	:	მიდლსბრო
ევერტონი	:	ლივერპული
ფულემი	:	ასტონ ვილა
სიტი	:	ჩელსი
ნიუკასლი	:	ჩარლტონი
ვესტ ბრომვიჩი	:	ტოტენჰემი
ვესტ ჰემი	:	უიგანი

№	სულ							შინ							სტუმრად						
	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ჩელსი	18	16	1	1	40:9	31	49	10	10	0	0	26:6	20	30	8	6	1	1	14:3	11	19
2 მანჩესტერი	18	12	4	2	34:14	20	40	9	5	3	1	16:5	11	18	9	7	1	1	18:9	9	22
3 ლივერპული	16	10	4	2	22:8	14	34	9	7	1	1	15:4	11	22	7	3	3	1	7:4	3	12
4 ტოტენჰემი	18	9	7	2	27:16	11	34	10	6	3	1	15:7	8	21	8	3	4	1	12:9	3	13
5 ბოლტონი	17	9	4	4	22:14	8	31	8	5	2	1	9:2	7	17	9	4	2	3	13:12	1	14
6 უიგანი	18	10	1	7	23:21	2	31	10	6	1	3	16:11	5	19	8	4	0	4	7:10	-3	12
7 არსენალი	17	9	2	6	23:15	8	29	8	7	0	1	16:4	12	21	9	2	2	5	7:11	-4	8
8 სიტი	18	8	3	7	26:20	6	27	9	5	2	2	12:5	7	17	9	3	1	5	14:15	-1	10
9 ვესტ ჰემი	18	7	5	6	25:22	3	26	8	4	1	3	14:10	4	13	10	3	4	3	11:12	-1	13
10 ნიუკასლი	18	7	4	7	18:19	-1	25	8	4	3	1	8:6	2	15	10	3	1	6	10:13	-3	10
11 ბლეძბერნი	18	7	3	8	21:24	-3	24	8	5	1	2	13:9	4	16	10	2	2	6	8:15	-7	8
12 ჩარლტონი	17	7	1	9	21:27	-6	22	9	2	1	6	9:16	-7	7	8	5	0	3	12:11	1	15
13 მიდლსბრო	18	5	5	8	23:28	-5	20	10	3	4	3	15:17	-2	13	8	2	1	5	8:11	-3	7
14 ასტონ ვილა	18	5	5	8	20:26	-6	20	9	3	2	4	11:12	-1	11	9	2	3	4	9:14	-5	9
15 ფულემი	18	5	4	9	20:25	-5	19	8	5	1	2	12:8	4	16	10	0	3	7	8:17	-9	3
16 ევერტონი	18	5	2	11	9:27	-18	17	8	2	1	5	4:11	-7	7	10	3	1	6	5:16	-11	10
17 ვესტ ბრომვიჩი	18	4	4	10	17:28	-11	16	9	4	1	4	14:12	2	13	9	0	3	6	3:16	-13	3
18 პორტსმუთი	18	3	5	10	14:27	-13	14	9	1	4	4	5:11	-6	7	9	2	1	6	9:16	-7	7
19 ბირმინგემი	17	3	3	11	11:25	-14	12	8	1	1	6	5:12	-7	4	9	2	2	5	6:13	-7	8
20 სანდერლენდი	18	1	3	14	14:35	-21	6	10	0	3	7	7:20	-13	3	8	1	0	7	7:15	-8	3

როსიცკი გაურკვევლობაში

გერმანული „დორტმუნდის“ მენეჯერმა ჰანს-იოახიმ ვაცკემ კლუბის ქომაგებს ახარა, ტომაშ როსიცკი ჩვენთან რჩებაო. მოგეხსენებათ, ჩეხი საცაა, მადრიდის „ატლეტიკოში“ უნდა გადასულიყო, თუმც, თუ ვაცკეს ვენდობით, ტრანსფერი ჩაიშალა. მიზეზი კი ფულია — გერმანელები 13 მილიონ ევროს ითხოვდნენ, ხოლო ესპანელები 9,5 მილიონის გადახდაზე იყვნენ ყაბულს.

„მოლაპარაკება არ შედგა, როგორც მოსალოდნელი იყო. „ატლეტიკოს“ გენერალური მენეჯერი მიგელ ანხელ ხილი არ დაგვკავშირებია, რაც იმას ნიშნავს, რომ მადრიდელები ჩვენს წინადადებას არ იღებენ. მოკლედ, როსიცკი გუნდში რჩება“ — თქვა ვაცკემ.

თავად ჩეხი პლეიმეიკერი ამ ამბით არც ისე გახარებული ჩანს, რადგანაც მას გუნდის გამოცვლა უნდა და იმედს ჯერ არ კარგავს.

ტომაშ როსიცკი: „რა შემიძლია ვთქვა, როცა ორი კლუბი ერთმანეთში ვერ თანხმდება? „დორტმუნდთან“ კონტრაქტი მაკავშირებს და მისი პირობები უნდა დავიცვა“.

კომენტარი გააკეთა როსიცკის აგენტმა პაველ პაშკამაც — დორტმუნდის“ განცხადებაზე არაფერს ვიტყვი და მოლაპარაკებაც ჯერ არ ჩაშლილაო.

კოკი კანდელაკი

სწრაფი და აგრესიული



ნემანია ვიდიჩი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელია

„მანჩესტერ იუნაიტედი“ მოსკოვის „სპარტაკს“ ნემანია ვიდიჩის თაობაზე მოურიგდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სერბეთის ნაკრების მცველი ინგლისში სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე ჩავა. მანჩესტერელთა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა: „ის სწრაფია, აგრესიულია და ჩემს გუნდს ძალიან წაადგება“. პრემიერლიგელებმა მოთამაშის სანაცვლოდ დაახლოებით 7 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. ვიდიჩი ახლა სამედიცინო შემოწმებას გაივლის და პირად კონტრაქტსაც მოაგვარებს.

ნემანია ვიდიჩი ევროპული ბობოლო კლუბებისთვის სასურველი ფეხბურთელი მას შემდეგ გახდა, რაც „სპარტაკში“ დარჩენა იუარა. „ლივერპულს“ და „ფიორენტინასაც“ ეწადათ მისი გადაბირება, მაგრამ მანჩესტერელებმა დაასწრეს.

სერბის დებიუტი შესაძლოა, 8 იანვარს, ასოციაციის თასის მატჩში შედგეს, როცა „წითლები“ „ბარტონს“ შეხვდებიან.

ნემანია ვიდიჩი მოსკოვის „სპარტაკში“ 2004 წლის ივლისში, ბელგრადის „ცრვენა ზვეზდადან“ გადავიდა. იგი სერბეთის ნაკრების ძირითადის ფეხბურთელია და ამ გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა.

მისი შეძენით „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაცვის ცენტრს გააძლიერებს: მიკაელ სილვესტრი ძველებურად ვეღარ ყოჩაღობს, უესლი ბრაუნი ტრავმებმა დატანჯეს და რიო ფერდინადს ცენტრში სწორედ ვიდიჩი შეუამხანაგდება.

ვაჟა ხუციშვილი



AFP

ზიკო მარადონას გამოესარჩლა

ლეგენდარული ზიკოს აზრით, ბრაზილიელი პოლიციელები რიო დე ჟანეიროს აეროპორტში დიეგო მარადონას უსამართლოდ მოექცნენ.

შეგახსენებთ, რომ წინა კვირაში ზიკომ საქველმოქმედო მატჩი მოაწყო, რომელშიც სხვა ძველჩაუქ ვარსკვლავებთან ერთად დიეგო მარადონამაც იბურთავა. თამაშის მეორე დღეს კი, როცა არგენტინელმა სამშობლოში გასამგზავრებლად ანტონიო კარლუშ ჟობიმის სახელობის აეროპორტს მიაშურა, იქაურმა პოლიციელებმა დააპატიმრეს და მითიურ კაცს საათნახევრით მოუწია ჩაკეტილ სივრცეში ყურყუტი. აეროპორტის დაცვის განცხადებით, მარადონა მომსახურე პერსონალთან მოულოდნელად ატეხილი ჩხუბის გამო დააკავეს, ხოლო თავად „ელ რეიმ“ თქვა, თვითმფრინავის რეისზე განზრახ დამაგვიანეს, აეროპორტის პერსონალს პროტესტი განვუცხადე და ამის გამო პოლიცია იარაღით დამემუქრაო.

„სირცხვილია, როცა ასეთ ადამიანს პირუტყვივით ექცევიან. დიეგოს აეროპორტში ცხვირწინ მიუხურეს კარი და უცერემონიოდ განუცხადეს, რომ ჩასხდომა დამთავრებული იყო. მერე საქმეში იარაღიც ჩარეულა. კაცი შიმშილის საწინააღმდეგო მატჩში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიყვანე, ესენი კი იარაღს ადებენ და მოკვლით ემუქრებიან“ — აღნიშნა ბრაზილიელი პოლიციელების უსაქციელობით გაღიზიანებულმა ზიკომ.

ლადო ხომერიკი

მესიმ სანტა კლაუსს ჩემპიონობა სთხოვა

არგენტინულმა „კლარინმა“, საშობაო არდადეგებზე შინ ჩასულ ლეო მესის ჰკითხა, სანტა კლაუსს რა საჩუქარს სთხოვდიო... „მსოფლიოს ჩემპიონატის, ჩემპიონთა ლიგისა და ესპანური პრიმერადივიზიონის მოგებას. თუ სანტამ ყველა ეს სურვილი ამისრულა, მაშინ ჰაერში მქროლავი ირმებიანი ეტლის, ბუხრის მილიდან ჩამოსული სანტა კლაუსის და საჩუქრებით გატენილი ხურჯინის ამბავს ნამდვილად ვირწმუნებ“ — მიუგო „ბარსელონას“ 18 წლის თავდამსხმელმა.

პატარა პატაგონიელს სჯერა, რომ მისი ნაკრები გერმანიაში ჩემპიონი გახდება, თუმც არც იმას მალავს, რომ არგენტინელთა ბანაკს მომავალი ბრძოლები ერთობ აშფოთებს.

„ჩვენ ჯგუფს (არგენტინა, სერბეთი, ჰოლანდია, კოტ დივუარი) „სიკვდილის ჯგუფი“ უწოდეს. რა თქმა უნდა, ძალიან დაძაბული მატჩები გველოდება, მაგრამ მერწმუნეთ, არგენტინის ნაკრები ყველას დაამარცხებს“ — ოპტიმისტურად განაცხადა ახალგაზრდა ფორვარდმა.

მოგეხსენებათ, არგენტინელებმა ოთხი წლის წინ, კორეა-იაპონიის მუნდიალზე ვერ ივარგეს, არგენტინა მაშინ ჯგუფში ჩარჩა.

„იმ დროს ნაკრებში არ ვთამაშობდი და ეს ფსიქოლოგიური წნეხი ჩემზე არ იმოქმედებს. ძალიან შეკრული, მობილური გუნდი გვყავს და მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენი წარმატებისაც ამიტომ მჯერა“ — დასძინა ბოლოს მესიმ.

ლადო ხომერიკი

ჰოლანდია

ერედივიზიონი. XVII ტური

ფეიენოორდი 2:0 ალკმაარი
1:0 პაუვე (3), 2:0 დე გუიმანი (8)

ნაიმეგენი 0:2 პსვ
0:1 არუნა ‘ჯოუ (6), 0:2 ბისლი (90)

ტვენტე 4:1 როზენდალი
1:0 ნიმაიერი (23), 2:0, 3:0 ზომერი (26, 53), 3:1 სილა (64), 4:1 მაისტოროვიჩი (73)

უტრეხტი 1:1 სპარტა
1:0 ვან დენ ბერგი (29), 1:1 ცვეტკოვი (90)

პსვ	17	13	2	2	36:11	41
ალკმაარი	17	12	2	3	44:17	38
ფეიენოორდი	17	12	2	3	43:18	38
აიაქსი	16	8	3	5	25:14	27
უტრეხტი	17	7	5	5	21:18	26
ვალვაიკი	16	8	2	6	31:30	26
გრონინგენი	16	8	2	6	19:18	26
ჰერენვენი	16	7	4	5	32:26	25
ნაიმეგენი	17	7	4	6	17:20	25
ვიტესი	16	7	2	7	27:24	23
ბრედა	16	6	3	7	20:26	21
ტვენტე	17	6	2	9	22:22	20
როდა	16	6	1	9	23:31	19
დენ ჰააგი	16	5	3	8	18:26	18
სპარტა	17	4	4	9	16:25	16
ჰერაკლესი	16	4	4	8	16:32	16
ტილბურგი	16	2	3	11	15:33	9
როზენდალი	17	0	4	13	9:43	4

შოტლანდია

პრემიერლიგა. XX ტური

დანფერმლაინი 3:3 რეინჯერსი
1:0 ტოდი (16), 1:1 ლოვენკრანდსი (22), 2:1 ბერჩილი (23), 2:2 ლოვენკრანდსი (64პ), 2:3 ბარკი (67), 3:3 იანგი (90)

ჰარტსი 5:0 ფოლკირკი
1:0 ჰარტლი (20), 2:0 სკაჩელი (25), 3:0 ელიოტი (41), 4:0 პოშპისილი (73), 5:0 ელიოტი (90)

ინვერნესი 2:0 ჰიბერნიანი
1:0 უილსონი (8), 2:0 დარგო (11)

კილმარნოკი 2:1 დანდი იუნ.
1:0 გ. მაკდონალდი (38), 1:1 სამუელი (51), 2:1 უელში (90)

მოზერუელი 3:1 აბერდინი
1:0, 2:0 ს. მაკდონალდი (9, 26), 3:0 მაკკორმაკი (53), 3:1 სტიუარტი (90)

სელტიკი 2:1 ლივინგსტონი
1:0 მელოუნი (39პ), 1:1 დალგლიში (58), 2:1 ნაკამურა (87)

სელტიკი	20	15	3	2	50:18	48
ჰარტსი	20	13	5	2	39:13	44
ჰიბერნიანი	20	12	1	7	34:25	37
კილმარნოკი	20	9	5	6	37:31	32
რეინჯერსი	20	8	7	5	33:25	31
ინვერნესი	20	6	9	5	23:21	27
მოზერუელი	20	7	5	8	34:37	26
აბერდინი	20	5	8	7	22:25	23
დანდი იუნ.	20	5	6	9	22:31	21
ფოლკირკი	20	4	5	11	20:40	17
ლივინგსტონი	20	2	6	12	11:37	12
დანფერმლაინი	20	2	4	14	14:36	10

I დივიზიონი. XX ტური

ბრეჩინი — კლაიდი 3:1; დანდი — ერდრი 2:3; ქუინი — სენტ მირენი 0:0; სენტ ჯონსტონი — როსი 1:1; სტრანრარი — ჰამილტონი 5:4

II დივიზიონი. XX ტური

ალოა — პიტერჰედი 0:2; გრეტნა — ფორფარი 1:2; პარტიკი — სტირლინგი 0:3; ეარი — დამბარტონი 2:0; მორტონი — რეითი 2:0

III დივიზიონი. XX ტური

ისტ ფიფი — ბერვიკი 1:0; ელგინი — მონტროუზი 1:0; ქუინზ პარკი — სტენჰაუზმური 2:0. ალბიონი — არბროთი და ისტ სტირლინგი — კოუდენბეთი გადიდო

ჯილას მიზანი ბომბარდირობაა

„მილანის“ ფორვარდმა ალბერტო ჯილარდინომ განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონში მისთვის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირობაა. ცუდი დასაწყისის შემდეგ „ჯილა“ ნელ-ნელა ათამაშდა და ახლა მას 11 გოლი აქვს გატანილი. შესაბამისად, ამ ეტაპზე ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე ლუკა ტონის 5 ბურთით ჩამორჩება.

„ჩემი აზრით, განსაკუთრებული არაფერია იმაში, რომ თავდამსხმელი ბომბარდირობაზე ფიქრობს. ძალიან მნიშვნელოვანი იყო სეზონის მაღალ ნოტაზე ჩამთავრება. ცუდი დებიუტის მერე ეს მჭირდებოდა. გუნდს ნელ-ნელა ვეგუები და მთავარია, ახალ წელს სათანადო ფორმაში შევხვდე“ — განაცხადა ალბერტო ჯილარდინომ.

„როსონერის“ ამჟამინდელ სათამაშო სქემაში ჯილარდინო გამოკვეთილი ფორვარდია. ლიდერმა ანდრეი შევჩენკომ ოდნავ უკან დაიწია, ხოლო ბრაზილიელი კაკა მათ პასებით ამარაგებს. ის, რომ „ჯილა“ ბოლო დროს ათამაშდა, ორივე ზემოხსენებული მოთამაშის დამსახურებაა.

„გარკვეული დრო დაგვჭირდა, სანამ მე და შევჩენკო ერთმანეთს გავუგებდით. კაკას რაც შეეხება, იგი ბრწყინვალე მოთამაშეა და მასთან შეთამაშების პრობლემა არ მაქვს“ — დასძინა ჯილარდინომ.

კოკი კანდელაკი



მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული

ერთადერთი კლინიკა ამერიკაკავკასიაში

ხელმძღვანელი
პროფ. თამაზ თამაზაშვილი

- უახლესი-აღტაკმაფული ამერიკული ტექნოლოგიები
- უფასო კონსულტაცია, მათ შორის პროფესორის კონსულტაცია ამერიკიდან
- თმის დაზიანებათა კომპიუტერული დიაგნოსტიკა
- გარანტირებული შედეგები
- მოსაბეზრელია თმის გადანერგვა ნაწიმწრემში ტარმოსა და დამწვრობის შემდეგ
- კონფიდენციალურობა
- საახალწლო თასდაკლება



HAIRLINE INTERNATIONAL

ჰეალაინ ინტერნეიშნლ

თმის აღდგენითი მედიცინის სამკურნალო სამეცნიერო ცენტრი

ქავთარაძის 16 (სამკურნალო კომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

www.hairline.ge

ლივერანის ხუთწლიანი შესთავაზეს

რომის „ლაციოს“ თავისი ერთ-ერთი ლიდერის, ფაბიო ლივერანის შენარჩუნება უნდა. დედაქალაქელებმა მას უკვე შესთავაზეს ახალი ხუთწლიანი კონტრაქტი, მაგრამ 29 წლის ნახევარმცველს თანხმობა ჯერ არ განუცხადებია. მხარეებს შორის მოქმედ შეთანხმებას ვადა მომავალ ზაფხულს გასდის, ხოლო ლივერანის მსურველები არასოდეს აკლდა, თუმც „ლაციო“ მის გაშვებას არ აპირებს.

„კიდევ ხუთწლიანი კონტრაქტი შემოთავაზეს, რაც ძალიან მეამაყება. მოლაპარაკებები მიმდინარეობს და იმედია, მალე შევთანხმდებით. ყველაფერი იანვარში გამოიკვეთება და დაწვრილებითაც მერე ვისაუბროთ“ — განაცხადა ლივერანიმ.

საინტერესოა, რომ ფერადკანიანი ფეხბურთელი რომშია დაბადებული და ბავშვობიდან „რომას“ ქომაგობდა, თუმც 2001 წელს „ლაციოში“ მოხვდა და კლუბის ლიდერადაც თითქმის მაშინვე იქცა. დედაქალაქელთა ამჟამინდელი მწვრთნელი დელიო როსიც გუნდის აწყობას მის გარშემო აპირებს.

თავად ფაბიო ლივერანის იმედი აქვს, რომ მარჩელო ლიპის სიმპათიას დაიმსახურებს და 2006 წლის მუნდიალზეც მოხვდება. მას „სკუადრა აძურას“ რიგებში ორჯერ უკვე უთამაშია.

ძოკი ბანდელაკი

მე თამაში მინდა

ფიგეროა ვილიარეალს ტოვებს

ლუჩანო ფიგეროა, „ვილიარეალის“ არგენტინელი თავდამსხმელი, იანვარში ალბათ სამშობლოში დაბრუნდება. საქმე ის გახლავთ, რომ ფიგეროა „ყვითლების“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, ეს კი პატაგონიელ ფორვარდს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსებს უმცირებს.

„ვილიარეალში“ სულ სათადარიგოებში ვარ, ჩემი მიზანი კი მუნდიალზე მოხვედრაა, რასაც კარგ ფორმაში ყოფნა და ნაკრების მწვრთნელის ყურადღება სჭირდება. კარგი იქნება, თუ ერთი სეზონით რომელიმე არგენტინულ კლუბში ვითამაშებ იჯარით — განუცხადა ფიგეროამ „რადიო ლა რედის“.

გაირკვა ისიც, რომ ფიგეროას „რივერ პლეიტში“ სურს გადასვლა. „როსარიო სენტრალის“ ექსფეხბურთელს კი „ვილიარეალთან“ კონტრაქტით კიდევ ოთხწელიწადნახევარი უწევს ყოფნა. იმავე არგენტინულ რადიოს მობურთალის მამამ და წარმომადგენელმა ხორხე ფიგეროამაც დაადასტურა, „რივერიან“ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ და ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

ლადო ხომერიკი

აბრამოვიჩი — მილიარდერი არსაიდან

კაცი, რომელმაც ინგლისური ბრიტანეთი

„ჩელსის“ პატრონი რომან აბრამოვიჩი ქისის სისქით ბრიტანეთში მოხვედრა გასულ შემოდგომაზე „სიბნეფტის“ საკუთარი წილი „გაზპრომს“ 8 მილიარდ 410 მილიონ ევროდ მიჰყიდა და ამ გარიგებით გარკვეულწილად რუსეთს „მოსწყდა“, თუმც კვლავაც რჩება ჩუკოტკის გუბერნატორად. ახლა უფრო მშვიდად შეუძლია, ინებივროს ლონდონში და თავისი მილიარდები თვალოს

რომან აბრამოვიჩის მეუღლე ირინას ფეხბურთი არ უყვარს

აბრამოვიჩთან პირისპირ შეხვედრა გნებავთ? ფაქტობრივად, ეს შეუძლებელია. თუ რამე გაინტერესებთ, „ჩელსის“ პრესსამსახურს მიმართეთ — მითხრა ოლიგარქის წარმომადგენელმა ჯონ მანმა. ამ კლუბს რუსმა მილიარდერმა ჯიბის ფული (400 მილიონი გირვანქა) დაახარჯა და „ჩელსი“ ორ წელიწადში სუპერგუნდად აქცია.

არ სურს პრესასთან საუბარი? — ჯანდაბას! ჭოგრიტით დავათვალიერებ ლოჟას, რომელიც „სტემფორდ ბრიჯის“ დასავლეთ ტრიბუნის მეორე სართულზეა. ჯინსებში გამოწყობილ სლავური იერის ახალგაზრდა კაცს ვხედავ. „ჩელსის“ პატრონი მისთვის საგანგებოდ დამზადებულ სკამზეა მოკალათებული, რომელსაც გათბობის სისტემა აქვს ჩამონტაჟებული.

ოლიგარქი ბავშვურად იღიმის. გვერდს ცოლი, ირინა, უმშვენებს. მარჯვნივ — სიყრმის მეგობარი და საქმიანი პარტნიორი, ამერიკის მოქალაქე ევგენი შვიდლერი უზის. ამ გენიოსის წყალობით „ჩელსის“ პატრონის ბიზნესი ყვავის. ოდნავ მოშორებით დაბრძანებულა ევგენი ტენენბაუმი, კიდევ ერთი ნდობით აღჭურვილი პირი — რუსული წარმომავლობის კანადელი. ტენენბაუმი რომან აბრამოვიჩის „სეიფს“, კომპანია „მილჰაუზ კეპიტალს“ განაგებს. უახლოესი მეგობრები ოლიგარქს რომან არკადიევიჩს ეძახიან.

მილიარდერი ამტკიცებს, რომ ინგლისური არ იცის. უცნაურია, კაცისთვის, რომელიც ნავთობ-ბიზნესში ტრიალებს. სინამდვილეში ინგლისურის არცოდნა მოგონილია იმისთვის, რომ უცხოებთან ურთიერთობას მოერიდოს.

„ჩელსის“ შეძენის შემდეგ მისი მხოლოდ სამი ინტერვიუ გამოქვეყნდა. რუს მაგნატს არ უყვარს ხალხმრავლობა და ხელის ჩამორთმევა. რუსეთშივე მიხვდა — მშვიდი ცხოვრებისთვის ჩრდილში ყოფნა უკეთესია.

ამას წინათ დომინიკ მიდგლისა და კრის ჰათჩინსონის წიგნი გამოვიდა — „აბრამოვიჩი — მილიარდერი არსაიდან“. ეს ფაქტობრივად, „ჩელსის“ პატრონის ბიოგრაფიაა, ოღონდ ინგლისში ცხოვრების ეპიზოდებს არ მოიცავს. წიგნის გამოსვლამდე აბრამოვიჩის პარტნიორმა საადვოკატო ფირმამ ავტორებისგან ხელნაწერი მოითხოვა. შემოწმების შემდეგ ადვოკატს ბლომად კითხვები გაუჩნდა და მწერლებს რაღაც-რაღაცების შეცვლა მოსთხოვა. ეს ფირმა ერთგვარი „ხელკეტია“, რომელიც აკონტროლებს მედიაში გავრცელებულ ყველა ინფორმაციას, რაც მილიარდერის ცხოვრებას ეხება.

რომან აბრამოვიჩის რეზიდენცია ამჟამად სასექსის საგრაფოში მდებარეობს. იქ არის უამრავი აუზი, კასტინგის ტრასები და პოლოს სათამაშო ორი მოედანი. ოლიგარქი ამ არისტოკრატიული თამაშის ქომაგი გახლავთ. მან მასწავლებელი დაიქირავა, საიმისოდ, რომ პოლო შეისწავლოს.

აბრამოვიჩი თევზაობის მოყვარულია. ჰყავს ოთხი იახტა, რომელთაგანაც ერთს ტყვიაგაუმტარი შუშები აქვს. გარდა ამისა, დამონტაჟებულია ბალისტიკური რაკეტის დასაფიქსირებელი რადარები. მის განკარგულებაშია ორი „ბოინგი“ — 767 და 737. სადაც არ უნდა იყოს, სენ-ტროპეში თუ მოსკოვურ აგარაკზე, საქმეებს ტელეფონით აგვარებს.

ოლიგარქის მეუღლე, ირინა, ქმარს მატჩებზე ხშირად დაჰყვება, მაგრამ ფეხბურთი გულზე არ ეხატება. ირინას ერთადერთი მეგობარი ლონდონში მოჰამედ ალ ფაიედის ცოლია. რუსი მილიარდერის ოჯახის წევრები დაცვის გარეშე ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამენ. აბრამოვიჩის პირად დაცვას იარაღის ტარების უფლება არ აქვს და ხელკეტებით არიან შეიარაღებულნი.

„სტემფორდ ბრიჯზე“ ფეხბურთელებისთვის ზღაპრული პირობებია შექმნილი. „ჩელსის“ პატრონი კლუბის ყოველდღიურ მართვაში არ მონაწილეობს, მაგრამ მისი ხელი სულ უფრო და უფრო მეტად იგრძნობა. ის არ გამოტოვებს არც ერთ საშინაო მატჩს და მხოლოდ ორჯერ ვერ გაჰყვა გუნდს გასვლით შეხვედრაზე. რომან აბრამოვიჩს საკუთარი „მონადირე“ ჰყავს, რომელიც ნიჭიერ ფეხბურთელებს ეძებს. ეს გახლავთ „პსვ ეინდჰოვენის“ სპორტული დირექტორი პიტ დე ვისერი. იგი თვეში ერთხელ მაინც ჩადის ლონდონში და მილიარდერთან ამბები ჩააქვს.

გულწრფელად უყვარს თუ არა აბრამოვიჩს ფეხბურთი? ამაში ასი პროცენტით დარწმუნებული არ ვარ. მაგალითად, კლაუდიო რანიერი ამტკიცებდა, კლუბის ახალ პატრონს ტაქტიკაში არაფერი გაეგებაო. თვით უერთგულესმა მეგობარმა ევგენი შვიდლერმაც კი განაცხადა, ეს უფრო გარყვნილი ბავშვის კაპრიზია, ვიდრე ფეხბურთის სიყვარულიო.

ინგლისელი კომენტატორის, პატრიკ ბარკლაის აზრით, „ჩელსის“ შეძენამ რომან აბრამოვიჩს შელახული რეპუტაცია აღუდგინა. მას არაფერი დარჩენოდა იმის გარდა, რომ ალ ფაიედისთვის და სილვიო ბერლუსკონისთვის მიებაძა. რუსეთში ხომ ყველამ იცის — რომან აბრამოვიჩი ჰოკეის ფანია.

მარკ როზი, „ლე მონდი“

კარლოს ალბერტო პარეირა შეგირდებს აქედანვე აფრთხილებს

ბრაზილია შემპარავების გარემოცვაში

კარლოს ალბერტო პარეირა, ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი აცხადებს, 2006 წლის მუნდიალზე ჩემი გუნდი საკმაოდ ძნელ ჯგუფში მოხვდა და ტურნირის შემდგომ ეტაპზე გასვლა, არც ისე იოლი იქნება, როგორც ამას გაზეთები წერენო.

„მსოფლიოს ჩემპიონატის F ჯგუფს მე „შემპარავს“ დავარქმევდი. ჩვენი მეტოქეები — ხორვატია, ავსტრალია და იაპონია — განსხვავებული სტილის გუნდები არიან, თუმც ყველა ეს ნაკრები ფიზიკურად ძალიან კარგად მომზადებული ფეხბურთელებისგან არის დაკომპლექტებული. ჯგუფური ეტაპის ყველა თამაშს ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ, თუ ზედმეტ თავდაჯერებულობას გამოვიჩენთ, უსიამოვნო სიურპრიზები არ აგვცდება“ — განმარტა პარეირამ.

ბრაზილია პირველ მატჩს 13 ივნისს, ხორვატიასთან ჩაატარებს, 18-ში ავსტრალიას ეთამაშება და ბოლოს, 22 ივნისს, იაპონის ნაკრებს შეეტოქება.

„ავსტრალიამ მუნდიალზე წასვლის შანსი ურუგვაის მოუსპო, ეს გუნდი კი ერთადერთია მსოფლიოს ჩემპიონებიდან, რომელიც გერმანიაში ვერ ითამაშებს. ხორვატიის ნაკრებმა მთელი შესარჩევი პერიოდის მანძილზე საკუთარ კარში მხოლოდ ერთი ბურთი მიიღო. იაპონია კი, რომელსაც ჩინებული სპეციალისტი ზიკო წვრთნის, აზიის მოქმედი ჩემპიონია. ერთი სიტყვით, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ“ — დასძინა ბოლოს პარეირამ.

ლადო ხომერიკი

მილანმა ბარძალი მოძებნა



იტალიურმა „პალერმომ“ დაადასტურა ინფორმაცია, რომ „მილანს“ ანდრეა ბარძალის შეძენა ძალიან უნდა. ასე რომ, გამორიცხული არ არის, მომავალ ზაფხულს პერსპექტიული მცველი შავ-წითელ მაისურაში ვიხილოთ.

„მილანელებს ბარძალი ძალიან მოსწონთ და მჯერა, ყველანაირად ეცდებიან მის შეძენას. ახლა მთავარია, შეთანხმება შევძლოთ, რაც პირადად მეც ძალიან მინდა, რადგანაც ანდრეა „მილანისთვის“ იდეალური ვარიანტია. მას დიდი მომავალი აქვს“ — თქვა „პალერმოს“ სპორტულმა დირექტორმა რინო ფოსკიმ.

შეგახსენებთ, რომ ანდრეა ბარძალი უკვე „სკუადრა აძურას“ ძირითადის მოთამაშეცაა, იგი მარჩელო ლიპის ესიმპათიურება. „მილანი“ კი დიდი ხანია, ახალ მცველებს ეძებს — კოსტაკურტა, კაფუ, მალდინი და სტამი მობერებულნი რომ არიან, თავადაც კარგად მოგეხსენებათ.

ბარძალის გარდა, „როსონერის“ სახელი ლიონელ კრისს, რომაელ კრისტიან კივუს, სანპაულუელ დიეგო ლუგანოსა და პსვ-ს ბრაზილიელ ლეგიონერს ალექსსაც დაუკავშირეს.

გავრცელებული ცნობით, „მილანმა“ უკვე დაიწყო მოლაპარაკება „პალერმოსთან“, მაგრამ მეცილედ „იუვენტუსიც“ ჰყავს.

კოკი კანდელაკი

ბებიამისის ნათქვამი



AFP

სერია A-ში მეორე ადგილზე მყოფი „ინტერი“ საშობაო არდადეგებისთვის „დაიშალა“. გუნდის საუკეთესო ფორვარდმა ადრიანომ წლის ბოლოს გაილაღა და მიჯრით ხუთ მატჩში გაიტანა. „ემპოლისთან“ თამაშის დასაწყისშივე დაშავდა და სტადიონიდან პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს. ტრავმა მსუბუქი აღმოჩნდა — გასულ ხუთშაბათს ლაზარეთიდან გამოწერეს, პარასკევს კი აიბარგა და სამშობლოში წავიდა. 23 წლის ბრაზილიელმა ამ სეზონში 15 გოლი მიითვალა, ათი ჩემპიონატში, ხუთი კი — ჩემპიონთა ლიგაში. იტალიური მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში ადრიანომ ბებიამისზე, ობაფემი მარტინსზე და ნაკრებზე ილაპარაკა

— მილანურ დერბიში „ინტერმა“ სამი გოლი გაიტანა, „რეჯინასთან“ გასვლით მატჩში — ოთხი უპასუხო. გუნდს აღმასვლა ეტყობა...

— დერბიში გამარჯვებამ ჩვენზე დოპინგივით იმოქმედა. ძალა და დაღებითი ემოცია შეგვმატა. ამიტომაც გავაუმჯობესეთ თამაში. ადრე ისე ხდებოდა, რომ „ინტერი“ მნიშვნელოვანი მატჩების მოგების შემდეგ შედარებით სუსტ გუნდებთან ქულებს კარგავდა. ამ შეთხვევაში მობილიზება შევძელით.

— ლუიშ ფიგუმ „რეჯინასთან“ სამი საგოლე პასი გააკეთა. რას იტყვით პორტუგალიელ თანაგუნდელზე?

— ფენომენალური ფეხბურთელია. სულ უფრო და უფრო კარგად ვუგებთ ერთმანეთს. როცა ის ბურთითაა, მეტოქე ვერ ხვდება, რას მოიმოქმედებს მომდევნო წამს. თავიდან მეც მიჭირდა მისი ჩანაფიქრის გამოცნობა, მაგრამ ნელ-ნელა ავაწყვეთ.

— ისე ჩანს, თითქოს ობაფემი მარტინსი თქვენთვის იდეალური მეწყვილეა...

— არ მინდა ვინმეს გამორჩევა, რადგან ყველასთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს, თუმც ვადასტურებ, მარტინსთან შეტევაში თავს კომფორტულად ვგრძნობ. ძალიან მიხარია, რომ „მილანთან“ ორივემ გავიტანეთ.

— ნაკრებში რონალდოსთან თამაშობთ. არ გინდათ, ერთ გუნდში იყოთ?

— თუკი ის „რეალიდან“ „ინტერში“ დაბრუნდება, კი, ბატონო, წინააღმდეგი არ ვიქნები. ჩვენ იდეალურად ვუგებთ ერთმანეთს.

— ხომ არ გიცდიათ მისი გადმობირება „ინტერში“?

— ვიცი, რომ რონალდოს „ინტერი“ ძალიან უყვარს, მიუხედავად იმ პრობლემებისა, რომელიც აქედან წასვლისას ჰქონდა. არ გამოვრიცხავ, კვლავაც „შავ-ლურჯი“ მაისურა მოირგოს, მით უმეტეს, მასიმო მარატი რონალდოს დიდ პატივს სცემს.

— ხუმრობთ?

— რა თქმა უნდა, არა. უკეთესი იქნება, მას მერე დაბრუნდს, როცა ჩვენ სკუდეტოს, ან ჩემპიონთა თასს მოვიგებთ, თორემ ხალხი იტყვის, რონალდოს გარეშე „ინტერი“ ვერაფერი გუნდიაო.

— იანვარში „ინტერმა“ შესაძლოა, ფორვარდი იყიდოს, რადგან მარტინსი აფრიკის ეროვნებათა თასზე მიემგზავრება. ხომ არ გეშინიათ კონკურენციისა?

— ვის ეხალისება სათადარიგოთა სკამის ხეხვა? არავის. ახალი ფორვარდის გამოჩენა ცოტა შემაფუცხუნებს, მაგრამ აქ ერთი მომენტი უნდა გამოვარჩიო?

— რომელი?

— თუკი ვინმეს „ინტერში“ თამაშის ამბიცია აქვს, ეს ნიშნავს, რომ კლუბი სწორ გზას ადგას. ამბიციური ფეხბურთელები არ მიდიან გუნდებში, რომელსაც პირველობის პრეტენზია არ აქვთ. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ „ინტერი“ ევროპასა თუ იტალიაში უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის, ხოლო ვის შეიძენს გუნდი, ეს უკვე პატრონის გადასაწყვეტია.

— რა შეიცვალა „ინტერში“ ბოლო რამდენიმე თვეში?

— ჩვენ სტაბილურობა გვაკლდა და ამას მივაღწიეთ. ადრე ნერვიული ატმოსფერო იყო გუნდში, ახლა კი ყველა მშვიდადაა. ეს ჩანს ვარჯიშზეც და ჩემპიონატის მატჩებშიც.

— პროგრესს კრისტიან ვიერის წასვლამ ხომ არ შეუწყო ხელი?

— ვერ ვიტყვი, რომ ვიერის დროს გუნდი არეული გახლდათ, მაგრამ ამჟამად უფრო შეკრულნი და ერთსულოვანნი ვართ. ფეხბურთელებმა გაითავისეს, რომ ამის გარეშე ვერაფერს მიაღწევ.

— როგორი ურთიერთობა გაქვთ ვერონთან, რომელმაც ამას წინათ ნაკრებიდან დაგვიანებით ჩამოსვლისთვის გაგაკრიტიკათ?

— მთავარია, მოედანზე ვიმეგობროთ, ხოლო მოედნის მიღმა რა ხდება ჩვენს შორის, ეს უმნიშვნელო რამაა.

— მილანური დერბის შემდეგ ტელეკამერებს სვირინგი აჩვენეთ...

— ესაა ფრაზა, რომელსაც ბებიაჩემი ხშირად იმეორებდა: „ღმერთი მუდამ ჩემთანაა!“ არასოდეს დამავიწყდება, რომ ფეხბურთელი ოჯახისა და ღმერთის წყალობით გავხდი.

— ამ სეზონში რა მიზნები გაქვთ?

— რომელიმე დიდი ჯილდო აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

— ჩემპიონთა თასი გირჩევნიათ თუ სკუდეტო?

— ასეთი მდიდარი ისტორიის მქონე კლუბს ყველაფერის მოგება მართებს და ამისთვის უნდა იბრძოლოს, იტალიაში იქნება, თუ ევროპაში. ჩემპიონთა ლიგა თებერვალში განახლდება, ამიტომ მანამდე ჩემპიონატში მაქსიმალური მობილიზება გვჭირდება.

— გულწრფელად თქვით, რეალურია თუ არა, „იუვენტუსის“ დაწვა-გადასწრების შანსი?

— რვაქულიან სხვაობა ცოტა არაა, მაგრამ უნდა ვირწმუნოთ, რომ ამ სხვაობის გაბითილება შესაძლებელია. მით უმეტეს, „იუვესთან“ საშინაო მატჩი გველის. „ინტერი“ იმდენად მოწყურებულია გამარჯვებას, რომ ეს უნდა დაგვეხმაროს.

— ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში მეტოქედ „აიაქსი“ გერგოთ. ფიქრობთ, რომ გაგიმართლათ?

— ამჟამინდელი „აიაქსი“ ძველებურად ძლიერი არაა, თუმც მოწინააღმდეგის შეუფასებლობა არ ეგების. ჩვენ ორი ურთულესი მატჩის თამაში მოგვიწევს გუნდთან, რომლის შემადგენლობაც ხშირად იცვლება, მაგრამ სახეს მაინც ინარჩუნებს.

— პირად ცხოვრებაში პრობლემები გქონდათ, რაც თქვენს თამაშსაც დაეტყო...

— მოხდა რამდენიმე არასასამოვნო ამბავი და კალაპოტიდან ამოვვარდი, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა.

— თქვენ ცხოვრებაში რაღაც რომ შეიცვალა, ვარცხნილობაზეც გეტყობათ...

— მილანური დერბის წინ ბიძაშვილმა დამარწმუნა, ვარცხნილობა შემეცვალა. ასეთი თავებით დადიან იქ, სადაც მე გავიზარდე. „მილანთან“ მატჩამდე ვიფიქრე, ეგებ ახალმა იმიჯმა მიშველოს-მეთქი და გამოვიცანი.

— დიდასაც თქვენსავით შეუჭრია თმა...

— კი, მაგრამ მას არ გაუმართლა. მთავარია, ბრაზილიელებმა მსოფლიოს ჩემპიონატი მოვიგოთ.

— ვის შესწევს ძალა, ხელი შეუშალოს ბრაზილიას გაჩემპიონებაში?

— მსურს დავიჯერო, რომ ასეთი გუნდი არ გამოჩნდება.

სარბიელი: კროკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი. პრემიერლიგა
28 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	15	არსენალი-პორტსმუთი	1.30	4.80	8.50	1.02	1.12	3.06
23:45	17	ბირმინგემი-მანჩესტერი	5.80	3.70	1.50	2.25	1.19	1.06
23:45	19	ფულემი-ასტონ ვილა	2.20	3.10	3.20	1.28	1.30	1.57
23:45	20	სიტი-ჩელსი	5.50	3.50	1.60	2.13	1.23	1.09
23:45	22	ნიუკასლი-ჩარლტონი	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
23:45	23	ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი	2.80	3.20	2.35	1.49	1.27	1.35
23:45	24	ვესტ ჰემი-უიგანი	2.15	3.20	3.20	1.28	1.28	1.60
23:45	25	ევერტონი-ლივერპული	3.70	3.20	1.95	1.71	1.27	1.21
23:45	27	ბლეკბერნი-სანდერლენდი	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
23:45	28	ბოლტონი-მიდლსბრო	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80

ინგლისი. ჩემპიონატი
28 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	62	ჰალი-იფსვიჩი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
23:45	63	ლუტონი-ბრაიტონი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
23:45	64	ქოვენთრი-ქრიუ	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
23:45	65	უენსდი-ვულვერჰემპტონი	2.80	3.20	2.25	1.49	1.24	1.32
23:45	66	სტოკი-ლიდსი	2.45	2.90	2.65	1.32	1.27	1.38
23:45	67	საუთჰემპტონი-შეფილდი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
23:45	68	პლიმუთი-პრესტონი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
23:45	69	ქარ-კარდიფი	2.25	3.00	2.80	1.28	1.24	1.44
23:45	70	მილუოლი-უოტფორდი	2.75	3.20	2.25	1.47	1.23	1.32
23:45	71	ნორვიჩი-ბარნლი	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
23:45	72	რედინგი-ლესტერი	1.50	3.60	5.80	1.05	1.19	2.22
23:45	73	კრისტალ პალასი-დერბი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78

ინგლისი. I ლიგა
28 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:30	108	ჩესტერფილდი-სუინდონი	1.75	3.20	4.30	1.13	1.24	1.83
23:45	109	ბორნმუთი-ბარნსლი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
23:45	110	ბრედფორდი-უოლსოლი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
23:45	111	ბრისტოლი-როტერჰემი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
23:45	112	ბლეკპული-ოლდემი	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
23:45	113	დონსი-ნოტინგემი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
23:45	114	ჰარტლპული-საუთენდი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
23:45	115	ჰადერსფილდი-პორტ ვეილი	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
23:45	116	კოლჩესტერი-სკანთორპი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
23:45	117	დონკასტერი-ბრენტფორდი	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
23:45	118	ტრანმერი-იოვილი	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
23:45	119	სუონსი-ჯილინგემი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13

ინგლისი. II ლიგა
28 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16:00	156	ჩესტერი-რექსემი	2.20	3.30	2.80	1.32	1.23	1.51
23:30	157	დარლინგტონი-ბარნეტი	1.90	3.20	3.55	1.19	1.23	1.68
23:45	158	გრიმსბი-ლინკოლნი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
23:45	159	მენსფილდი-როვერსი	2.35	3.20	2.65	1.35	1.24	1.44
23:45	160	ნოტსი-ნორთჰემპტონი	2.50	3.20	2.55	1.40	1.26	1.41
23:45	161	პიტერბრო-ოქსფორდი	1.90	3.20	3.65	1.19	1.24	1.70
23:45	162	როჩდეილი-ბერი	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
23:45	163	შრიუსბერი-მაკლსფილდი	1.85	3.30	3.60	1.18	1.22	1.72
23:45	164	რაშდენი-ჩელტენემი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
23:45	165	ბოსტონი-კარლაილი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
23:45	166	სტოკპორტი-ტორკი	2.10	3.20	2.90	1.26	1.21	1.52

29 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:45	167	უიკომბი-ლეიტონი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74

ინგლისი. კონფერენსი
27 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:00	201	გრეისი-კონვი	1.60	3.30	5.20	1.07	1.22	2.01

ჰოლანდია. I დივიზიონი
27 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21:00	281	ვალვაიკი-ჰერენვენი	2.10	3.30	3.00	1.28	1.23	1.57
21:00	282	როდა-დენ ჰააგი	1.70	3.40	4.60	1.13	1.24	1.95
22:30	283	ვიტესი-ბრედა	1.85	3.30	3.80	1.18	1.24	1.76
23:00	284	აიაქსი-გრონინგენი	1.35	4.30	7.50	1.02	1.14	2.73

ჰოკეი. შვედეთი
27 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:00	406	ლინხიოპინგი-ბრიუნესი	1.35	4.80	5.30	1.05	1.07	2.51
22:00	407	ლეკსანდი-ლულეო	2.30	4.30	2.05	1.49	1.08	1.38
22:00	408	ფრიოლუნდა-ტიმრე	1.35	4.80	5.30	1.05	1.07	2.51
22:00	409	სიოდერტელიე-ფერიესტადი	2.60	4.40	1.90	1.63	1.09	1.32
22:00	410	იურგორდენი-ჰვ 71	2.65	4.50	1.85	1.66	1.08	1.31

28 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:00	411	მორა-მოდო	2.10	4.50	2.25	1.43	1.08	1.50

ჰოკეი. ფინეთი
27 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:30	421	პელიკანსი-ჰაამეენლინა	3.75	4.40	1.55	2.02	1.09	1.14
20:30	422	კერპეტი-იოკერიტი	1.60	4.30	3.50	1.16	1.09	1.92
20:30	423	ტურკუ-ესპოო	2.10	4.20	2.30	1.39	1.09	1.48
20:30	424	ჰელსინკი-ტაპარა	2.10	4.20	2.30	1.39	1.09	1.48
20:30	425	ლუკო-სეიპა	1.85	4.20	2.60	1.28	1.08	1.60
20:30	426	იუვესკიულე-ესეტი	1.85	4.20	2.65	1.28	1.08	1.62
20:30	427	ილვესი-კალპა	1.45	4.50	4.20	1.09	1.07	2.17

ჰოკეი. ჩეხეთი
28 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	439	ტრუინეკი-სლავია	2.50	4.20	1.85	1.56	1.06	1.28
20:00	440	ვსეტინი-ვიტკოვიცე	3.20	4.30	1.65	1.83	1.08	1.19
20:30	441	ლიტვინოვი-ბუდეიოვიცე	1.90	4.20	2.50	1.30	1.07	1.56
20:30	442	კლადნო-ზნოიმო	2.15	4.00	2.30	1.39	1.11	1.46
21:00	443	პარდუბიცე-პლზენი	1.70	4.30	3.00	1.21	1.08	1.76

ჰოკეი. სლოვაკეთი
27 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20:00	451	მარტინი-ტრენჩინი	2.60	4.00	1.80	1.57	1.06	1.24
20:00	452	სკალიცა-ზვოლენი	2.15	4.00	2.30	1.39	1.11	1.46
20:00	453	კოშიცე-პოპრადი	2.00	4.00	2.30	1.33	1.06	1.46
20:00	454	მიკულაში-ნიტრა	2.50	4.00	1.85	1.53	1.06	1.26
21:30	455	სლოვანი-ჟილინა	1.70	4.20	3.00	1.21	1.08	1.75

კალათბურთი. იტალია
28 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:30	550	ბენეტონი-ვარეზე	1.20	12.00	3.30	1.09	1.00	2.58
23:30	551	როზეტო-აველინო	1.30	12.00	2.85	1.17	1.00	2.30
23:30	552	მილანი-უდინე	1.20	12.00	3.30	1.09	1.00	2.58
23:30	553	ბოლონია-ორლანდო	1.10	12.00	5.50	1.00	1.00	3.77
23:30	554	ლივორნო-სიენა	2.40	12.00	1.40	2.00	1.00	1.25
23:30	555	ნაპოლი-კალაბრია	1.25	12.00	3.50	1.13	1.00	2.70
23:30	556	რომა-კანტუ	1.20	12.00	3.30	1.09	1.00	2.58
23:30	557	ბიპოპი-ვ.ბოლონია	1.80	12.00	1.80	1.56	1.00	1.56
23:30	558	ბიელა-ტერამო	1.30	12.00	2.85	1.17	1.00	2.30

კალათბურთი. ესპანეთი
27 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
23:15	568	ბარსელონა-ხირონა	1.30	12.00	3.00	1.17	1.00	2.40
23:30	569	ბილბაო-ხუვენტუდი	2.30	12.00	1.55	1.93	1.00	1.37
23:30	570	რეალი-ვალენსია	1.30	12.00	3.00	1.17	1.00	2.40
23:45	571	ვალიადოლიდი-ესტუდიანტესი	1.80	12.00	1.85	1.56	1.00	1.60
23:45	572	ფუენლაბრადა-მანრესა	1.30	12.00	3.00	1.17	1.00	2.40
23:45	573	უნიკახა-აუნაკაბლე	1.30	12.00	3.00	1.17	1.00	2.40
23:45	575	მენორკა-ბრეოგანი	1.60	12.00	2.20	1.41	1.00	1.85

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაიზუსტეთ

თასი ოლიმპიურ სისტემაზე გადაეწყო

მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძეს ბურთით გაიხსენებენ

სიახლე ქართულ კალათბურთში: 2006 წლიდან ახალ ტურნირს ჩაეყრება საფუძველი, რომლის ორგანიზატორიც, ისევე როგორც ყველა არსებული შეჯიბრის, კალათბურთის ფედერაცია იქნება.

მაშ ასე, მომავალი წლის 16-20 იანვარს ვერის ბაღში ოლიმპიური ჩემპიონების — მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალური ტურნირი გაიმართება, რომელშიც ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე რვავე გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

გუშინ ქორქია-საკანდელიძის მემორიალის ერთგვარი პრეზენტაცია მოეწყო კაფე „მსოფლიო სპორტში", სადაც ასევე საქართველოს თასის გათამაშების კენჭისყრაც ჩატარდა.

„სპორტკაფეში" გვარიანად ბევრი კალათბურთში მოსაქმიანე ადამიანი მოვიდა. გუნდების წარმომადგენლებთან ერთად იქ იყვნენ ფედერაციის გენერალური მდივანი მერაბ რატიშვილი, ახალი ვიცე-პრეზიდენტი ვახტანგ ნაცვლიშვილი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ვეტერანი კალათბურთელები — ნიკოლოზ დერიუგინი და ვლადიმერ უგრეხელიძე. გენმდივანმა ფედერაციის ახალი მუშაკიც წარმოგვიდგინა — მსაჯთა კომიტეტის უფროსის მოადგილე და სადისციპლინოს ხელმძღვანელი ზაზა ზამთარაძე.

თასის ეს გათამაშება რიგით მესამეა და წინანდელებისგან განსხვავებული ფორმატით ჩატარდება. აქამდე გუნდები ქვეჯგუფებში ერკინებოდნენ ერთმანეთს და პლეი-ოფიდან აგრძელებდნენ თასისთვის ბრძოლას, ახლა კი უმაღლესი ლიგის რვავე გუნდი პირდაპირ მეოთხედფინალში დაწყვილდება.

ძალთა ბალანსის გამო, ფავორიტები თავიდანვე რომ არ შეჯახებოდნენ ერთმანეთს, განთესვა მოხდა: ჩემპიონატის მოლიდერე ოთხი გუნდი დანარჩენი ოთხის წინააღმდეგ. კენჭისყრას მერაბ რატიშვილი უძღვებოდა, კალათიდან კი ბურთულები ნიკოლოზ დერიუგინსა და ვახტანგ ნაცვლიშვილს ამოჰქონდათ.

მაშ ასე, თასის გათამაშების მეოთხედფინალში, 27 იანვარს, ერთმანეთს ეს გუნდები შეხვდებიან: „ავიამშენი" — „ქუთაისი", „აზოტი" — „მაკაბი", სტუ — სსუ და „თსუ-ნიკორა" — „დინამო".

ყველაზე საინტერესო წყვილი, რა თქმა უნდა, თსუ — „დინამოა". ამ უკანასკნელმა ჩემპიონატში მე-5 ადგილი ბურთების შეფარდების გამო დაიკავა, თორემ ოპონენტ „აზოტზე" ნაკლები ქულა არ დაუგროვებია.

კენჭისყრის შემდეგ ორივე ამ გუნდის თავკაცი უკმაყოფილო გახლდათ. ჩემპიონატის ლიდერ „თსუ-ნიკორას" მეოთხედფინალში, ცხადია, სუსტი [illegible] ხელო „დინამოს" თავკაცი დავით უ[illegible]ტიაშვილ[illegible] ფილო[illegible] [illegible]ცდამაინც ყველაზე ძლიერი გუნდი ერგო. თუმც ორივე კლუბის თავკაცი იქვე შეთანხმდა, რომ ბევრიც არაფერი იყო სადარდებელი, თუ თასის აღების პრეტენზია გაქვს, ნაკლებმნიშვნელოვანია, ვის შეხვდები პირველად, მაინც ყველა მეტოქის დამარცხება გმართებსო.

მაშ ასე, ქართულმა კალათბურთმა მომავალი წლის 16 იანვრამდე მიიძინა, მანამ, სანამ მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის მემორიალი დაიწყებოდეს.

ამ ტურნირში გუნდები ორ ჯგუფში იქნებიან განაწილებულნი და პირველზე გასულები ფინალში თასისთვის იბრძოლებენ.

ირაკლი პერტაია

საქართველოს თასის III გათამაშება
27–29 იანვარი. 2006

27 იანვარი, 12.00
ავიამშენი – ქუთაისი

27 იანვარი, 14.00
აზოტი – მაკაბი

28 იანვარი 13.00

27 იანვარი, 16.00
სტუ – სსუ

27 იანვარი, 18.00
თსუ-ნიკორა – დინამო

28 იანვარი 15.00

29 იანვარი, 15.00

ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სსოვნის ტურნირი. 16-20 იანვარი. 2006

A ჯგუფი	B ჯგუფი
თსუ-ნიკორა	ავიამშენი
აზოტი	სტუ
დინამო	მაკაბი
ქუთაისი	სსუ

NBA რეგულარული ჩემპიონატი



კობი ბრაიანტს 37 ქულა წყალში ჩაეყარა

კობის კოკა წყალზე გაუტყდა

25 დეკემბერი

დეტროიტი 85:70 სან ანტონიო

დეტროიტი: ბილაფსი (20), რ. ვოლესი (14), ჰამილტონი (11), ბ. ვოლესი (10 ქულა, 21 მოხსნა)

სან ანტონიო: პარკერი (19), დანკანი (18 ქულა, 11 მოხსნა)

მაიამი 97:92 ლეიკერსი

მაიამი: პეიტონი (21), ონილი (18 ქულა, 17 მოხსნა), ვეიდი (18), უილიამსი (14)

ლეიკერსი: ბრაიანტი (37), კუკი (15), ოდომი (14 ქულა, 16 მოხსნა, 6 პასი)

ყოველთვის ასეა, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის შეფები საშობაოდ ორ ყველაზე დამაინტრიგებელ წყვილს შეარჩევენ და ასეთ ნუგბარს სთავაზობენ კალათბურთის გურმანებს. წლევანდელი 25 დეკემბრის საღამოს მაყურებელმა იხილა 2005 წლის ფინალისტების „დეტროიტ" — „სან ანტონიოსა" და ძველი თანაგუნდელების, ერთად სამჯერ გაჩემპიონებული, შემდეგ კი ერთმანეთს დაშორებული კობი ბრაიანტისა (ლეიკერსი) და შაკილ ონილის (მაიამი) დუელი.

ჯერ მეორეზე ვთქვათ: საღღეისო-ამოდ საუკეთესო ფორმაში მყოფმა კობი ბრაიანტმა აშკარად დაჯაბნა ის, ვის ჩრდილშიც ვერასდროს გრძნობდა თავს მყუდროდ და ხალვათად. თუმცა, მასთან ერთად იხვეჭდა საჩემპიონო ბეჭდებს.

ასაკშეპარული შაკი უკვე ვეღარ აგროვებს უზომოდ ბევრს — ამ სეზონში ჩატარებულ ათ თამაშში მან ერთადერთხელ უწია 30-ქულიან თამასას მაშინ, როცა კობი საშუალოდ აგროვებს 32 ქულას და 30 კი არა, 40-ზე მეტის შეგროვება ევქსჯერ შეძლო, ერთხელ კი 60 ქულასაც კი ასცდა. ახლაც კობიმ შაკზე ორჯერ მეტი მოიხვეჭა.

მაგრამ კობი-შაკის დავაში კიდევ ერთი ყოფილი ლეიკერსელი ჩაერია: 2003-04 წლების სეზონში ამ ორის გვერდით მობურთალმა ბებერმა გამთამაშებელმა გერი პეიტონმა 21 ქულა გაახერხა და მთელი შეხვედრის განმავლობაში აქეთ-იქით მოქანავე სასწორი შაკის ანუ „მაიამის" მხარეს გადახარა.

ამ ზაფხულს ნაფინალები დევეების ჯახი კი ნაკლებ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. საღღეისოდ უკეთეს ფორმაში მყოფმა მეორე პრიზიორმა „დეტროიტმა" იოლად არა, მაგრამ დამაჯერებლად სძლია ხალხნაკლულ და ფორმიდან ამოვარდნილ ჩემპიონ „სან ანტონიოს".

კოტე ყორშია

აღმოსავლეთი

ატლანტიკა			
ნიუ ჯერსი	14	12	53,8
ფილადელფია	14	13	51,9
ბოსტონი	11	14	44,0
ნიუ იორკი	7	18	28,0
ტორონტო	6	21	22,2
ცენტრალური			
დეტროიტი	22	3	88,0
კლივლენდი	16	9	64,0
მილუოკი	15	9	62,5
ინდიანა	15	9	62,5
ჩიკაგო	12	14	46,2
სამხრეთ-აღმოსავლეთი			
მაიამი	16	12	57,1
ვაშინგტონი	11	14	44,0
ორლანდო	9	15	37,5
შარლოტი	8	19	29,6
ატლანტა	7	18	28,0

დასავლეთი

სამხრეთ-დასავლეთი			
სან ანტონიო	21	7	75,0
დალასი	20	7	74,1
მემფისი	16	9	64,0
ნიუ ორლეანი	11	15	42,3
ჰიუსტონი	10	15	40,0
ჩრდილო-დასავლეთი			
მინესოტა	13	11	54,2
დენვერი	13	14	48,1
სიეტლი	11	14	44,0
იუტა	11	16	40,7
პორტლენდი	8	18	30,8
წყნარი ოკეანე			
კლიპერსი	16	10	61,5
ფინიქსი	15	10	60,0
ლეიკერსი	15	12	55,6
გ. სტეიტი	14	13	51,9
საკრამენტო	10	16	38,5

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲙᲘᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲡᲝᲡᲝ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ

ᲓᲐᲛᲘᲗᲐᲕᲠᲓᲐ უკრაინის ღია პირველობის პირველი ტურის მატჩები წყალბურთში, რომელსაც კიევთან ახლოს მდებარე ქალაქი მარიუპოლი მასპინძლობდა.

მოგეხსენებათ, ამ ტურნირში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები სისტემატიურად მონაწილეობს. მათთვის იქაური ჩემპიონატი ლამის საკუთარი შეჯიბრებაცაა და საკმაო წარმატებასაც აღწევენ. გამონაკლისი არც ახლა იყო. ჩვენმა წყალბურთელებმა მარიუპოლში სამი შეხვედრა ჩაატარეს, საიდანაც ერთი მოიეს („კიევთან“) და ორიც ფრედ დაასრულეს („დინამოსთან“ და „მარიუპოლ-2“-თან). თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს გუნდში ბევრი ახალგაზრდა სპორტსმენია და მათ პირველად იასპარეზეს ასეთ მაღალ დონეზე, შედეგი უთუოდ დადებითად უნდა შეფასდეს.

გუნდის გამოსვლით ნაკრების თავკაცი სოსო მაისურაძე კმაყოფილი ჩანდა. მან უკრაინის ღია პირველობაზე და მომავლის გეგმებზე მოგვითხრო.

— ორგანიზატორებმა კენჭისყრა არ ჩაატარეს და გუნდები პირდაპირ ჯგუფებში განთესეს — გვიამბობს სოსო მაისურაძე — საბოლოოდ ისე მოხდა, რომ საკმაოდ ძლიერი მეტოქეები გვერგო. მათგან კიევის „დინამოს“ გამოვყოფ, რომელიც ძირითადად ლეგიონერებითაა დაკომპლექტებული.

სხვათა შორის „დინამოში“ ჩვენი აღზრდილი გურამ კოტარია თამაშობს, რომელმაც ორი ბურთი გაგვიტანა. საერთოდაც, სწორედ „დინამოსთან“ გაგვიჭირდა ყველაზე მეტად. მსაჯებმა უმოწყალოდ დაგვჩაგრეს. არადა, რომ არა არაობიექტურობა, ალბათ მოვიგებდით, „კიევთან“ კი ჩვენი გამარჯვება საეჭვოდ არ გაგვიხდია, თავიდანვე სოლიდური უპირატესობა მოვიპოვეთ და დამაჯერებლად დავამარცხეთ მეტოქე (17:11). აი, „მარიუპოლ-2“-თან კი დასანანი ფრე ვითამაშეთ. ბიჭები ზედმეტად თავდაჯერებულები ჩავიდნენ აუზში და დაისაჯნენ კიდეც. არადა, 6:3 ვიგებდით. სამწუხაროდ, უპირატესობა დავთმეთ და მეტოქემ ამის მერე ზედიზედ სამი უპასუხო ბურთი გაგვიტანა. 6:6 — ასე დარულდა ეს შეხვედრა. ფორტუნამ ზურგი შეგვაქცია, აშკარად არ გაგვიმართლა. მერწმუნეთ, სხვა დროს ამ გუნდს ათიდან ათ თამაშს მოვუგებთ.

— ნაკრებში ახალგაზრდებიც გამოსცადეთ. მათ, როგორ წარმოაჩინეს თავი?

— საერთო ჯამში მათი გამოსვლით კმაყოფილი ვარ. კარგი შთაბეჭდილება დატოვა სანდრო ნამორაძემ. მან ნაკრებში დამკვიდრების თვალსაზრისით სერიოზული განაცხადი გააკეთა. კარგად ითამაშა მცველმა დავით ბაქრაძემაც.

საერთოდ, უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს ბიჭები სულ 16 წლისანი არიან და მათი კარგი გამოსვლა მით უფრო დასაფასებელია. მეტსაც გეტყვით, უკრაინაში 14 წლის სანდრო რუსიაშვილიც გვყავდა, რომელმაც მშვენივრად ითამაშა.

— მოდით, ახლა ეს წელი შეაფასეთ, რა გაკეთდა კარგი და კიდევ რისი გაკეთება შეიძლებოდა?

— უპირველეს პრობლემად ისევ სათანადო აუზის არქონა რჩება. უკვე მერამდენედ ვიმეორებ, რომ უნდა შეიქმნას კლუბი,სადაც ჩვენი ლეგიონერები ითამაშებენ. თუ მათ 4-5 უცხოელი წყალბურთელი დაემატებათ, მერე საშუალება მოგვეცემა ოლიმპიადაზეც რეალურად ვიფიქროთ.

რა თქმა უნდა, იყო პოზიტიური მოვლენებიც. თუნდაც ის, რომ ვმონაწილეობდით უკრაინის ღია პირველობის 6 ტურში, უკრაინის თასზე და „აღმირალის“ თასზეც. ამან უდიდესი გამოცდილება შეგვძინა. ტურნირებზე ხომ ძირითადად ახალგაზრდა, გამოუცდელ ბიჭებს ვათამაშებდით.

— კარგით. უახლოესი გეგმები როგორი გაქვთ?

— 9-14 იანვარს უკრაინა საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობს, სადაც ჩვენც მიგვიწვიეს. ძალიან მინდა, რომ მასში მონაწილეობა მოვახერხოთ და 1989 წელს დაბადებული ბავშვები კიდევ ერთხელ გამოვცადოთ. იქ ბიჭები ბევრს შეიძენენ. მითუმეტეს, რომ ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითია. მასში საბერძნეთის, თურქეთის, რუმინეთის, ბელარუსის და მასპინძელი უკრაინის ნაკრები გუნდები მონაწილეობენ.

უფრო შორეულ პერსპექტივაში კი ევროპის პირველობის შესარჩევი მატჩების მასპინძლობა გვსურს. ლენაში (ევროპის წყალბურთის ფედერაცია) ჩვენი განაცხადი უკვე გავგზავნეთ. ვიმედოვნებთ, რომ უპირატესობას მოგვანიჭებენ და შესარჩევი მატჩების თბილისში ჩატარების საშუალება მოგვეცემა. თუმცა, კონკურენტები საკმაოდ ძლიერები გვყავს. მასპინძლობის პრეტენზიას რუსეთი, თურქეთი და სხვა ძლიერი ქვეყნები გამოთქვამენ. მათთან შედარებით ჩვენი შანსები მოკრძალებულია, მაგრამ მაინც იმედიანად ვართ განწყობილნი.

ᲚᲔᲥᲡᲝ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲯᲘᲠᲒᲕᲐᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲐᲛᲐᲒᲓᲐᲠᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲐᲜᲖᲝᲠ ᲒᲐᲑᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲡ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲛᲔᲓᲘᲙᲝᲡᲔᲑᲛᲐᲪ ᲓᲐᲮᲣᲠᲔᲡ

ᲐᲒᲔᲠ უკვე მეორე წელიწადია, საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაცია მედიკოსთა წლიურ ნამუშეკარს აჯამებს და გამორჩეულთ აჯილდოვებს. გუშინდელი შეკრება ფარმაცევტული ფირმა „ჯიპისის“ სათაო ოფისში შედგა. სადღესასწაულო ელფერიც დაჰკრავდა, თუმცა ხმამაღალი დისკუსია და კამათიც გაიმართა.

თავიდან ასოციაციის პრეზიდენტმა და საქართველოს ოლიმპიური გუნდის მთავარმა ექიმმა, ზურაბ კახაბრიშვილმა, ის მნიშვნელოვანი საქმეები ჩამოთვალა, წლეულს ასოციაციამ რომ გააკეთა — თბილისში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენცია, სპორტსმენთა და მწვრთნელთათვის აუცილებელი სამედიცინო წიგნების გამოცემა, საქველმოქმედო აქციები თუ სხვა. მან განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილა, იმ ახალგაზრდა ექიმებზე, სპორტის განვითარებასა და წარმატებებში თავიანთი წილი პასუხისმგებლობა უკვე მომავალი წლის ტურნირებიდან რომ ექნებათ.

„სამწუხაროდ, საქართველოში სპორტული მედიცინის ცენტრი არ არსებობს და სპორტსმენთა რიგიანად გამოკვლევა და მკურნალობაც ურთულესი საქმეა“ — თქვა კახაბრიშვილმა.

ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა, ვალერი ახალკაცმა, შექმნილი ვითარება უფრო მუქ ფერებში დახატა: — საქართველოში სპორტული მედიცინა არსებობს, თუმცა რეალურად, ამ სფეროში მინიმუმ ათჯერ მეტი ექიმი უნდა მუშაობდეს. ელემენტარულად ბევრ საფეხბურთო გუნდს ექიმი საერთოდ არ ჰყავს. რამდენად ცუდი მოსასმენიც უნდა იყოს, სპორტული მედიცინა წინ ვერ მიდის.

ასოციაციის თავკაცების სიტყვებს დარბაზში მსხდომ მედიკოსთა გამოსვლები მოჰყვა და ცხარე კამათშიც გადაიზარდა, დასკვნა კი ისევ კახაბრიშვილმა გააკეთა, სახელმწიფოსგან დახმარებას რომ ვითხოვთ, სანამ ერთ შეკრულ გუნდად არ ვიქცევით, მანამდე შედეგის მიღწევა ძალიან გაგვიჭირდებაო.

სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გია გალდავამაც პირველ პრობლემად შიდადაპირისპირებების აღმოფხვრა დაასახელა, სასაუბროდ მხარეებს კი დეპარტამენტში შეხვედრა შესთავაზა.

— სპორტსმენის წარმატება მხოლოდ მის ნიჭსა და ძლიერ მწვრთნელზე არ არის დამოკიდებული. ქართველთა ბოლოდროინდელ დიდ წარმატებებში უმნიშვნელოვანესი როლი, სწორედ მედიკოსებმა შეასრულეთ. სპორტის დეპარტამენტი ასოციაციის მუშაობით კმაყოფილია. მადლობა გაწეული სამუშაოსთვის.

შეკრება ფურშეტით დასრულდა, მანამდე კი კახაბრიშვილმა და გალდავამ კონფერენციაგამოვლილებს დიპლომები დაურიგეს. რამდენიმე მედიკოსსა და ჟურნალისტს სპორტული მედიცინის განვითარებასა და გაშუქებაში შეტანილი წვლილისთვის ფასიანი საჩუქრებიც გადასცეს.

ᲝᲗᲐᲠ ᲒᲐᲚᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ



ᲑᲐᲓᲠᲘ ᲙᲘᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

გია გალდავა, ზურაბ კახაბრიშვილი და ვალერი ახალკაცი

მწვანე კონტინენტზე შარაპოვა არ ჩავა

რუსმა ჩოგბურთელმა მარია შარაპოვამ განაცხადა, რომ გამოტოვებს ავსტრალიაში გასამართ გოლდ-კოსტის ტურნირს, რომელიც 2 იანვარს დაიწყება. მას მხრის ტრავმა აწუხებს.

„ძალიან მწყინს, რომ გოლდ-კოსტში ვერ ვითამაშებ — თქვა შარაპოვამ — მაგრამ ჩემი მხარი დღესდღეობით სერიოზული დატვირთებისთვის მზად არ არის. იმედია, გაისად იქ გამოსვლას შევძლებ“.

მხრის ტრავმის გამო რუსმა შეიძლება არა მარტო გოლდ-კოსტი, არამედ „დიდი მუზარადის“ პირველი ტურნირი — ავსტრალიის ღია პირველობაც გამოტოვოს. თუმც მარიას იმედი აქვს, რომ ეს არ მოხდება:

„ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ ავსტრალიის ღია პირველობას სრულყოფილ ფორმაში შეეხვდე. მე კარგად მოვემზადე დამდეგი სეზონისთვის, თუმც წინა კვირას მხარზე ჩატარებული გამოკვლევების შემდეგ ექიმებმა მირჩიეს, სერიოზულ ტურნირებში არ მივიღო მონაწილეობა. დამდეგ სეზონში ჩემი უმთავრესი მიზანი რეიტინგის სათავეში მოქცევა იქნება და ამიტომ 100 პროცენტით მზად უნდა შევხვდე“.

შეგახსენებთ, რომ ეს ტრავმა შარაპოვას მთელი გასული სეზონი აწუხებდა. სწორედ ამის გამო ვერ შეძლო რუსმა უიმბლდონზე ტიტულის დაცვა, სექტემბერში კი თითქმის ერთი თვე გაუცდა. იმავე ტრავმამ მარიას წლის შემაჯამებელ ტურნირზე — ლოსანჯელესში გამართულ მასტერსის თასის ნახევარფინალშიც შეახსენა თავი, როცა ფრანგ ამელი მორესმოსთან დიდებულად დაწყებული მატჩი წააგო.

ასე რომ, შეიძლება, წლის პირველ დიდ ტურნირზე მარია შარაპოვა ვერ ვიხილოთ.

თვითონ რუსს კი მაინც მეტად გადატვირთული გრაფიკი აქვს. წინა კვირას ის იაპონიაში იმყოფებოდა, სადაც დიდი ზარ-ზეიმით დახვდნენ. შარაპოვა სხვადასხვა სარეკლამო კამპანიებში მონაწილეობდა, შემდეგ კი 7000 მაყურებლის წინაშე ტესტ-მატჩი გამართა ადგილობრივ ჩოგბურთელ ალი სუგიამასთან.

კახა ლომაშვილი

ორი პრომოუტერი სამი უილიამსის წინააღმდეგ

რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი, რომ პალმ ბიჩის მოსამართლე ჯეფრი ვინიკოფმა ცნობილი ჩოგბურთელი დების, ვინუს და სერენა უილიამსების კონტრაქტთან დაკავშირებული საქმე დამდეგი წლის ნოემბრამდე გადადო.

ორი პრომოუტერი — კეროლ კლარკი და კეიტ როუდსი — უილიამსებს და მათ მამა რიჩარდს კონტრაქტის დარღვევაში ადანაშაულებს და ამისთვის 1 000 000 დოლარს ითხოვენ.

პრომოუტერთა განცხადებით, მათ რიჩარდ უილიამსთან მიაღწიეს შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ ვინუსი და სერენა 2001 წელს ეგრეთ წოდებულ „სქესების ბრძოლაში“ მიიღებდნენ მონაწილეობას“ — ანუ დებს მამაკაც ჩოგბურთელებთან უნდა ჩაეტარებინათ გარკვეული მინი-ტურნირი.

თუმც ეს ტურნირი არ შედგა, რადგანაც უილიამსებმა უარი თქვეს მასში მონაწილეობაზე. პრომოუტერთა განცხადებით, ამ მატჩებიდან შემოსული თანხის 30 პროცენტი მათი [illegible] სწორედ ამ თანხას [illegible] ცნობილი ჩოგბურთელებს.

შეორეს მხრივ, რიჩარდ უილიამსი უარყოფს რაიმე სახის კონტრაქტის არსებობას კლარკთან და როუდსთან და აცხადებს, რომ ამ თემაზე პრომუტერებთან მხოლოდ გარკვეული დისკუსია ჰქონდა.

თავის მხრივ, ვინუსი და სერენაც ამტიცებენ, რომ კონტრაქტის ამბავი სიცრუეა, რადგან რიჩარდ უილიამსს მათი სახელებით მოქმედების და მით უმეტეს, რაიმე კონტრაქტის გაფორმების უფლება არ ჰქონია.

ეს დავა უკვე საკმაოდ გაიწელა და, როგორც ხედავთ, ერთ წელიწადს კიდევ არ გადაწყდება, მოსამართლეს კი სასამართლოში მორიგი გარჩევის გადატანა ასე შორს იმიტომ მოუწია, რომ მალე საჩოგბურთო სეზონი დაიწყება და უილიამსებსაც საზღვარგარეთ ხშირი ვოიაჟები მოუწევთ, რაც პროცესს მეტად შეაფერხებს.

კახა ლომაშვილი

ცხელ გულზე

ამერიკელი მოთხილამურე ბოდე მილერი კვლავ გაუწყრა საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციას (FIS). აქამდე ამერიკელის უკმაყოფილების მიზეზი ის იყო, რომ თურმე ფედერაცია ეხმარება ავსტრიელ მოთხილამურეებს და დანარჩენებს, მას კი, ჩაგრავს. შარშან მილერი შედარებით თავშეკავებული იყო, წლეულს კი რამდენიმე შეჯიბრი აშკარად ჩაგდო და თავის საყვარელ თემასაც დაუბრუნდა.

მილერი ამჯერად უკმაყოფილოა იმის გამო, რომ FIS-მა მას ჯარიმა დააკისრა 1000 შვეიცარული ფრანკის ოდენობით (761 დოლარი), რადგანაც ერთ-ერთი შეჯიბრის შემდეგ არ გაიარა თხილამურებისა და ფეხსაცმელების შემოწმება. ძნელი სათქმელია, რამ აღაშფოთა ასე მილერი, მაგრამ იგი ნამდვილად არ ხუმრობს:

„თუ არ გააუქმებენ ამ ჯარიმას, საერთოდ აღარ გამოვალ მსოფლიოს თასზე. ამას არანაირი აზრი აღარა აქვს. ამ ხალხთან (FIS გულისხმობს) და იმ მეთოდებთან, რომლებითაც ისინი ამ შეჯიბრებებს უძღვებიან, არ მინდა, რაიმე საერთო მქონდეს“.

მილერის უკმაყოფილება კი იმან გამოიწვია, რომ მან საჭიროდ არ ჩათვალა ამ შემოწმების გავლა, რადგან მან პირველ ცდაზე ფინიშსაც ვერ მიაღწია და ცუდი გამოსვლით გაბრაზებული პირდაპირ გასახდელში წავიდა. ამერიკელის თქმით, მან ცუდად იასპარეზა, ვერანაირი შედეგის დაფიქსირება ვერ მოახერხა და ეს შემოწმება მისთვის აუცილებელი აღარ უნდა ყოფილიყო.

FIS-ის წარმომადგენლების განცხადებით კი მილერი იმიტომ დაჯარიმდა, რომ იგი გააფრთხილეს ამ შემოწმების შესახებ, მაგრამ ამერიკელმა აინუნშიაც არ ჩააგდო.

ახლა მილერი კატეგორიულად კი მოითხოვს ჯარიმის გაუქმებას, მაგრამ ძნელი სავარაუდოა, რომ ფედერაციამ უკან დაიხიოს. როგორც ჩანს, ამერიკელს მაინც მოუწევს თავისი ემოციების მოთოკვა და ცხელ გულზე ნათქვამის უკან წაღება... აბა, ასეთი სისულელის გამო პროფესიულ სპორტს ხომ არ გამოეთხოვება.

კახა ლომაშვილი

პიერსონის საჩივარი

შვედმა ანია პიერსონმა საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციას (FIS) საჩივრის წერილი გაუგზავნა, რომელსაც რამდენიმე სხვა მოთხილამურეც აწერდა ხელს (თუმც მათი ვინაობა უცნობია). თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხილამურეს თურმე ის აწუხებს, რომ ათიოდე დღის წინ საფრანგეთის სამთო კურორტ ვალ დისერეში მეტად ცუდი ამინდის მიუხედავად, FIS-მა შეჯიბრის ჩატარება გადაწყვიტა.

შეგახსენებთ, რომ სპორტსმენებს ვალ დისერეში მართლაც მძიმე პირობებში მოუხდათ ასპარეზობა. ნისლის გამო ორგანიზატორებმა დაშვება 90 წუთით გადადეს. თანაც ტრასაზე გასვლა ყველა მოთხილამურემ ვერ მოახერხა, მაგრამ FIS-მა შედეგები მაინც ჩათვალა.

მაშინ, გამოსვლის შემდეგვე, პროტესტი კიდევ ერთმა ცნობილმა მოთხილამურემ, ავსტრიელმა მიკაელა დორფმაისტერმა გამოთქვა და FIS სასტიკად გააკრიტიკა იმისთვის, რომ შეჯიბრი არ გადადეს.

იმის შემდეგ კვირაზე მეტი გავიდა და აგერ, პიერსონმაც აიმაღლა ხმა. თვითონ შვედმა ვალ დისერეში მე-18 ადგილი დაიკავა, წერილით მოთხილამურეები ფედერაციას სთხოვენ, რომ ეს აღარ განმეორდეს.

სხვათა შორის, პიერსონი ამას იგივე არგუმენტებიდან გამომდინარე ითხოვს, რასაც დორფმაისტერი ათი დღის წინ ამბობდა:

„საზიზღარი პირობები იყო. ფინიშის ხაზი კი საერთოდ არ ჩანდა. ამიტომაც ლურჯ ხაზს მივყვებოდი (ტრასის საზღვრები ამ ფერის საღებავით იყო მოხაზული). კარგია, კისერი რომ არ მოვიტეხე. დარწმუნებული ვარ, უმეტესობა საპრიზო თანხის გამო გავიდა ტრასაზე, თორემ ქულებზე არავინ ფიქრობდა“.

ისე კი, საინტერესოა, თუ რატომ არ გამოთქვა ეს პრეტენზიები პიერსონმა უშუალოდ საფრანგეთში და რატომ არ დაუჭირა მხარი დორფმაისტერს?

მოკლედ, ამ ცნობილ სპორტსმენებს თავისებური ხუშტურები არ ელევათ.

კახა ლომაშვილი

მას შემდეგ, რაც ხუთშაბათს ოთხმა ევროპულმა გრანდმა გამოაცხადა ოლიმპიური შემადგენლობა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნჰლ-ი ტურინის 2006 წლის ჰოკეის ტურნირზე პრაქტიკულად თავისი სრული პოტენციალით წარსდგება

ნჰლ — ოლიმპიადაზე

ჩეხეთი

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩეხთა შემადგენლობაში თითქმის ყველა ნჰლ-ელებია. ერთადერთ გამონაკლისი მეკარე მილან ჰნილიჩკაა, რომელიც სამშობლოში თამაშობს. ნაკრებში ვარსკვლავთაგან მხოლოდ პატრიკ ელიაში და მარტინ ჰავლატი ვერ მოხვდნენ. მათ ტრავმები აწუხებთ. სამაგიეროდ, ტურინში იასპარეზებს 1998 წლის ნაგანოს ოლიმპიადის ტრიუმფატორი დომინიკ ჰაშეკი, რომელმაც ასაკის მიუხედავად, თავკაცების წინადადება არ უარყო.

მეკარეები: *დომინიკ ჰაშეკი („ოტავა“), ტომაშ ვოკოუნი („ნეშვილი“), მილან ჰნილიჩკა („ლიბერეცი“);*

მცველები: *მარეკ ჟიდლიცკი („ნეშვილი“), ტომაშ კაბერლე („ტორონტო“), ფილიპ კუბა („მინესოტა“), პავოლ კუბინა („ტამპა“), მარეკ მალიკი („რეინჯერსი“), იაროსლავ შპაჩეკი („კოლუმბუსი“), ფრანტიშეკ კაბერლე („კაროლინა“), პეტრ ჩაიანეკი („სენტ ლუისი“), როსტისლავ ოლეში („ფლორიდა“), დავიდ ვიბორნი („კოლუმბუსი“), მარტი ერატი („ნეშვილი“), ვაცლავ პროსპალი („ტამპა“);*

ფორვარდები: *იაროშირ იაგრი („რეინჯერსი“), მარტინ სტრაკა („რეინჯერსი“), მილან ჰეიდუკი („კოლორადო“), რობერტ ლანგი („დეტროიტი“), ალეშ ჰემსკი („ედმონტონი“), პეტრ პრუხა („რეინჯერსი“), მარტინ რუჩინსკი („რეინჯერსი“), იან ბულისი („მონრეალი“).*

შვედეთი

მთავარი ამბავი აქ მეკარეთა ხაზის სრული განახლებაა. „ტრე კრუნურის“ წლეულს ნჰლ-ში გაბრწყინებული „რეინჯერსის“ მეკარე ჰენრიკ ლუნდკვისტისა და ტორონტოელი მიქაელ ტელკვისტის ეიმედება. მესამე მეკარე ახალგაზრდა შტეფან ლივიაც შვედური ჰვ-71-დან.

მცველები: *ნიკლას ლიდსტრიომი („დეტროიტი“), კიმ იუნსონი („ფილადელფია“), მატიას ნორსტრიომი („ლოს ანჯელესი“), მატიას ოლუნდი („ვანკუვერი“), ნიკლას კრენვალი („დეტროიტი“), კრისტიან ბეკმანი („სენტ ლუისი“), კენი იუნსონი (რეგლე);*

ფორვარდები: *პეტერ ფორსბერგი („ფილადელფია“), მატს სუნდინი („ტორონტო“), ნიკლას ზეტერბერგი („დეტროიტი“), მარკუს ნესლუნდი („ვანკუვერი“), დანიელ სედინი („ვანკუვერი“), ჰენრიკ სედინი („ვანკუვერი“), დანიელ ალფრედსონი („ოტავა“), ფრედრიკ მოდინი („ტამპა“), მიკა ჰანულა (ჰვ-71), პერ-იოჰან აქსელსონი („ბოსტონი“), იორგენ იონსონი (ფერიეესტადი), სამუელ პოლსონი („ანაჰაიმი“), მიქაელ სამუელსონი („დეტროიტი“).*

ფინეთი

ნაკრების თავკაცები არ ელოდნენ, რომ ქვეყნის საუკეთესო მეკარე, კალგარელი მიკა კიპრუსოფი უარს განაცხადებდა გუნდში თამაშზე. გოლკიპერმა ნეკნის ტრავმა მოიმიზეზა, რომლის მკურნალობას პაუზის დროს აპირებს. ასე რომ, სუომელთა მთავარი იმედი ახალბედა კარი ლეჰტონენი („ატლანტა“) გახდა.

მეკარეები: *ლეჰტონენი, ნორენა (ლინჩოპინგი, შვედეთი), (მესამე ჯერ არ გამოუცხადებიათ).*

მცველები: *სამი სალო („ვანკუვერი“), აკი-პეტერი ბერგი („ტორონტო“), ტონი ლუდმანი („ბუფალო“), ტეპო ნუმინენი („ბუფალო“), იონი პიტკანენი („ფილადელფია“), კიმო ტიმონენი („ნეშვილი“), ოსი ვანაანენი („კოლორადო“);*

ფორვარდები: *საკუ კოივუ („მონრეალი“), მიკა კოივუ („მინესოტა“), იერე ლეპტინენი („დალასი“), ტეემუ სელიანე („ანაჰაიმი“), ოლი იოკინენი („ფლორიდა“), იარკო რუუტუ („ვანკუვერი“), ტუომო რუუტუ („ჩიკაგო“), ნიკო კაპანენი („დალასი“), ანტი მიეტინენი („დალასი“), ვილე პელტონენი („ლუგანო“, შვეიცარია), იუკა ჰენტუნენი („ლუგანო“), ანტი ლააქსონენი („კოლორადო“), სამი კაპანენი („ფილადელფია“).*

სლოვაკეთი

მინუს პალფი, პლუს ბუდაი — ასეთია სლოვაკ ჟურნალისტთა კომენტარი ნაკრების შემადგენლობაზე „პიტსბურგის“ ვეტერანმა ფორვარდმა ზიგმუნდ პალფიმ ნაკრებში თამაშზე უარი თქვა, რაც სლოვაკთათვის საკმაოდ მოულოდნელია“. სამაგიეროდ, ქვეყანას ახლა ახალბედა „კოლორადოს“ მეკარე პეტრ ბუდაის იმედი აქვს, რომელმაც ტრადიციულად სუსტი რგოლი უნდა გააძლიეროს. 18 ნჰლ-ელთა შორის ასევე არიან:

მცველები: *ზდენო ხარა („ოტავა“), ანდრეჯი მესაროში („ოტავა“), ლუბომირ ვისნოვსკი („ლოს ანჯელესი“), რადოსლავ სუხი („კოლუმბუსი“), ივან მაიესკი („ატლანტა“), მილან იურჩინა („ბოსტონი“);*

ფორვარდები: *მიროსლავ შატანი („აილენდერსი“), პეტრ ბონრდა („ატლანტა“), ლადისლავ ნადი („ფინიქსი“), მიხალ ჰანდზუში („ფილადელფია“), მარიან გაბორიკი („მინესოტა“), მარიან ჰოსა („ატლანტა“), მარსელ ჰოსა („მონრეალი“), პავოლ დემიტრა („ლოს ანჯელესი“), იოზეფ შტუმპელი („ფლორიდა“), რიხარდ ზედნიკი („მონრეალი“), მარეკ სვატოში („კოლორადო“); დანარჩენი ხუთი კი არ არის ნჰლ-ელი —*

მეკარეები: *იან ლაშაკი (პარდუბიცე, ჩეხეთი) და კარილ კრიჟანი („მოდო, შვედეთი); მცველები მარტინ შტრბაკი (ცსკა, რუსეთი), ლუბოშ ბარტეჩკო (ლულეო, შვედეთი), რიხარდ კაპუში (მეტალურგი, რუსეთი).*

სამველ ღარიბიანი

ჩხუბის მერე მუშტებს აღარ იქნევენ

ამბობენ, რომ რუსმა მოკრივე ნიკოლაი ვალუევმა, რომელმაც ჯონ რუისს WBA-ს ვერსიით სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონის ქამარი ჩამოართვა, პრაქტიკულად მხოლოდ მარცხენა ხელით იბრძოდა, რადგან მარჯვენა დაშავებული ჰქონდაო.

როგორც ALLBOXONG-ი არაოფიციალურ წრაოებზე დაყრდნობით იუწყება, ვალუევს ამ შეხვედრამდე კარგახნით ადრე დაუშავდა მარჯვენა ხელი, მაგრამ ამას უცხო თვალისთვის საგულდაგულოდ მალავდნენ, რათა მოწინააღმდეგე ბანაკისთვის ხმებს არ მიეღწია და მეტოქეს თავიდანვე კორექტივები არ შეეტანა თავის ბრძოლაში.

ასეა თუ ისეა, ვალუევის პერსონისადმი ინტერესი ამ გამარჯვების მერე უფრო გაიზარდა. ვფიქრობთ, მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს ვალუევის ინტერვიუ, რომელიც მან ბი-ბი-სის მისცა.

— მსოფლიოს ჩემპიონობამდე მას სხვადასხვა სტადიაზე სხვადასხვა ეროვნების ხალხთან მოგიწიათ ბრძოლა.

— მართალს ბრძანებთ. მე ბევრი ვიბრძოლე WBA-ს ვერსიით, რათა ჩემპიონობისთის მიმეღწია. ამასთან, მე ვიყავი WBA-ს შვილობილი ორგანიზაციის ჩემპიონიც, რომელსაც პანაზიურ საკრივო ასოციაციას უწოდებენ. პრაქტიკულად, ყველა ბრძოლა, რომელიც კონტრაქტის მერე გერმანიაში ჩავატარე, ჩემპიონობისთვის მოსამზადებელი პაექრობები იყო. მიხარია, რომ, მიზანს მივაღწიე. ეს ჩემი პირველი გეგმა იყო.

— ახლა სხვადასხვა პრეტენდენტებთან მოგიწევთ ბრძოლა, რომლებიც, რა თქმა უნდა, არ მოისვენებენ.

— მართალს ბრძანებთ. ისინი გარდა იმისა, რომ არ მოისვენებენ, ყოველმხრივ შეეცდებიან ჩემთვის ჩემპიონის ქამრის წართმევას.

— მართლაც, მისთვის გადამწყვეტი ბრძოლისას თქვენ რაღაც უთანხმოებები გქონდათ და ცდილობდნენ, ქამარი ხელიდან გამოეგლიჯათ.

— ეს, რა თქმა უნდა, სასაცილო იყო. რუსეთში ამბობენ, ჩხუბის მერე მუშტებს აღარ იქნევენო. მაშინ ყურში სწრაფად ჩამჩურჩულეს, რომ ასეთ პროვოკაციას არ ავყოლოდი.

— და ახლა, ბრძოლის მერე როგორც გრძნობთ თავს? ამ დროს, ხომ ტრავმები გარდაუვალია.

— მე საერთოდ არ მიყვარს ტრავმებზე საუბარი. რომ გიამბოთ, თქვენ მერე მთელ ქვეყანას მოსდებთ. ეს რა საჭიროა, მე ყოველმხრივ წესრიგში ვარ.

— მატჩებისთვის მზადებისას დიდი ხნით ადრე გადადიხართ მკაცრ რეჟიმზე? რაიმე განსაკუთრებული კვება ხომ არა გაქვთ?

— მე პრაქტიკულად მუდმივად მკაცრ რეჟიმში ვარ, რადგან თუ ერთხელ ამოვარდი იქიდან, მერე უკან დაბრუნება ძალიან ძნელია. ამიტომ უმჯობესია ასეთი რეჟიმი მუდმივად დაიცვა. რა თქმა უნდა, ბრძოლის მერე ჩემ თავს უფლებას ვაძლევ ცოტათი მოვეშვა, რათა პატარ-პატარა სიხარული მივიღო, ხოლო, როცა ბრძოლამდე ორი თვე რჩება, ძალზე მკაცრ რეჟიმში გადავდივარ და ტელეფონსაც კი სრულიად ვთიშავ, რათა არავინ შემაწუხოს. ამ ბრძოლის წინ მზადებისას პირველ თვეს სანკტ-პეტერბურგი დავტოვე. ოჯახსაც კი მხოლოდ უქმეებზე ვხვდებოდი.

— მომდევნო ბრძოლის თაობაზე მოლაპარაკებები უკვე ხომ არ მიმდინარეობს?

— ვფიქრობ, ასე არ უნდა ვთქვათ, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობს, გუნებაში კი რაღაც მაქვს გაზაფხულისთვის.

— დღეს დილიდან თქვენ ამაღლებული გუნება-განწყობილება გქონდათ. ალბათ გიხარიათ. რაც არ უნდა იყოს, ჩემპიონის ქამარს დაეუფლეთ.

— იცით რა, მე ახლა საზეიმოდ სულაც არ მცალია, რადგან ბევრი შეხვედრა მაქვს პრესასთან, ჟურნალისტებთან... უბრალოდ, თავისუფალი წუთიც აღარ მაქვს. თავისუფლად ვეღარც კი ამომისუნთქია.

— რას იზამ, ასეთია ჩემპიონის ბედი. გინდა თუ არა, მძიმე ჯვარი უნდა ზიდო.

— რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კარგად მესმის. და ყოველივე ამას ისე ვუყურებ, როგორც ჩემი სამუშაოს ნაწილს.



მცხეთა-მთიანეთის ძიუდოისტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონი

დავით ციხელაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

ბურთაობა მინდვრებზე

ამერიკაში გაგანია ბურთაობის დღეებია და სულ ნაირფერ მოსდევრებზე ნაირგვარი ამბები ხდება. ჯექსონვილში იქაური მაიკ პიტერსონი ფეიუტერსვილიდან ქვორთერბექს, დევიდ კარს გუდავს. ტამპა-ბეიში ჩირლიდერ ქალს თმა გაუშლია.

AFP ტამპა ბეიდან

AFP ჯექსონვილიდან



ვერდიქტი

AFP ყარაჩიდან

სახედართა დოღი განთქმული რამ არის პაკისტანში. ამჯერად ის იმიტომაც გაიმართა, რომ ქვეყნის დამფუძნებლის მოჰამედ ალი ჯინას დაბადებიდან 129 წელი შესრულდა და საზეიმო დღეებში ყოველივე ძალიან პაკისტანური გათამაშდა.

ჰუმინის ძიუდო

AFP სანკტ პეტერბურგიდან

რუსთა პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს არაერთხელ უჩვენებია, რომ ძიუდოს ოსტატობას ფლობს. ახლაც, მისთვის მშობლიურ სანკტ-პეტერბურგში ყოფნისას, იქაურ სკოლას ეწვია და ერთი-ორი ფანდი ჩაატარა.

დამარცხებული

ქალთა კრივი დიდი ულამაზობა გახლავთ. მსოფლიოს ჩემპიონი ფედერაციის ვერსიით ამ ჯერზე კუნიელი კონჯესტინა აჩიენგი გახლავთ, რომელმაც სწორედ ეს არგენტინელი გოგო, ფერნანდეს გილერმინია პირველივე რაუნდში დააამარცხა. კრივი კენიაშივე, ნაირობში იყო.

AFP ნაირობიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოძრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი აპოლონილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მაუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: ლავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია სანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ ვოეებაშვილი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მესიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge